

ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №27, ივნისი, 2014 წელი

„აფხაზეთობა“ სვეტიცხოვლიდან დაიწყო

ჯერ კიდევ შარშან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 23 მაისი, სვიმონ კანანელის ხსენების დღე „აფხაზეთობის“ დღედ დაადგინა. წლეულს საქართველოს საპატრიარქოსა და აფხაზეთის მთავრობის ორგანიზებით, ეს დღესასწაული პირველად აღინიშნა.

წმიდა მოციქული სვიმონ კანანელი უფლის 12 მოციქულთაგან ერთ-ერთი იყო. იგი კანას გალილეაში ცხოვრობდა.

პირველი სასწაული იესომ თვით სვიმონის ქორწილში აღასრულა. როცა მექორწილებს შუა ქეიფში ღვინო დაუმთავრდათ, იესომ წყალი ღვინოდ აქცია. სვიმონმა იხილა უფლის სასწაული, მიატოვა ცოლი და გაჰყვა ქრისტეს.

საეკლესიო გადმოცემის თანახმად, სვიმონ კანანელი ანდრია პირველწოდებულთან ერთად ქადაგებდა ღვთის სიტყვას შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებში, მათ შორის, აფხაზეთშიც. ის აქ წარმართებმა წამებით მოკლეს. წმინდანი ანაკოფიაში, ათონის მთაზე დაკრძალეს. შემდგომში მის საფლავზე მონასტერი აშენდა. შემორჩენილია მღვიმე, სადაც წმიდა მოციქული მოღვაწეობდა.

ეს წმიდა ადგილი მრავალი ადამიანისათვის იქცა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევისა და ღმერთთან დაბრუნების წყაროდ.



ერთ-ერთ ქადაგებაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-მთიანეთის მთავრეპისკოპოსი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებდა: „სვიმონ კანანელის მიერ დაღვრილი მონამეობრივი სისხლი არის ჭეშმარიტად მირონი ღვთისა წინაშე... და დღეს, როდესაც წმიდა სვიმონის მიერ

კურთხეული აფხაზეთი ყოველი ქართველის ღია ჭრილობად იქცა, შევეცდეთ დიდ წმინდანს, შეგვეწიოს, შევთხოვოთ მის სახიერებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მისი სულიერი ამაღლება“.

სვიმონ კანანელის ხსენების დღეს „აფხაზეთობის“ აღნიშვნა უთუოდ ამ ჭეშმარიტებას დაეფუძნა.

„აფხაზეთობასთან“ და წმინდა სვიმონ კანანელის ხსენებასთან დაკავშირებით სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, საზეიმო მსახურება გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრია გვაზავამ აღასრულა.

თემის გაგრძელება მე-3 გვ.

ქართული უნივერსიტეტი
აფხაზეთის სკოლას
ხარებს ფართოდ უღებს



83.3

„საგალობლები
უფლისთვის“



83.7

„ზვილაბა უნდა
იცოდნენ, სად
ბაჩარდნენ ბაბაბი“



83.9

25 წლიანი ისტორიის გზაზე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იუბილე აღნიშნა

რობერტ მესხი

2014 წლის 14 მაისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაარსებიდან 25 წლის იუბილე აღნიშნა. 1989 წლის სწორედ ამ დღეს სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ერთი ნაწილის, აგრეთვე ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნით დაფუძნდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, რომელიც იმთავითვე იქცა აფხაზეთში ქართული სიტყვისა და საქმის ფლაგმანად.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში თავი მოიყარეს უნივერსიტეტის სტუმრებმა,



რომელთა შორის იყვნენ: აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის

მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი მინდია ოკუჯავა და სხვები. აქვე იყვნენ აგრეთვე სსუ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის წარმომადგენ-

ლები და სტუდენტები.

სხდომა მისასალმებელი სიტყვით გახსნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ.

შეხვედრა სსუ-ს გოგონათა ვოკალური გუნდის მიერ (ხელმძღვანელი – საქართველოს სახალხო არტისტი ვეზდენ ოკუჯავა) შესრულებული საქართველოს ჰიმნით გაიხსნა.

უნივერსიტეტს საიუბილეო თარიღი მიუღოცა აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემ ვახტანგ ყოლბაიამ:


– ის, რასაც დღეს ყველანი დევნილობაში ვაკეთებთ, ნამდვილი გამბედაობის ტოლფასია. სამწუხარო ის არის, რომ აფხაზები და ქართველები, კვლავ სხვადასხვა ნაპირზე ვიმყოფებით. სოხუმის უნივერსიტეტის 25-წლიანი ისტორია სერიოზულ მიღწევებს მოითვლის.

გაგრძელება მე-4 გვ.

მხოლოდ ერთხელ
მოდის?..

არამიარა

83.10



სკორობი

83.11

ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მემორანდუმი გაფორმდა

მაია ზონია

აფხაზეთის განათლების და კულტურის სამინისტრომ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

მემორანდუმი მხარეებს შორის სხვადასხვა საკითხში თანამშრომლობას ითვალისწინებს. მათ შორისაა ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება; აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთვის ღონისძიებების მოწყობაში ხელშეწყობა, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო, საკონფერენციო დარბაზებითა და აუდიტორიით სარგებლობა. ეროვნული ბიბლიოთეკის, როგორც ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია საქართველოს ყველა მოქალაქის და მათ შორის დევნილი მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის, განვითარების ხელშეწყობა.

„ეროვნული ბიბლიოთეკა და მისი ისტორიული შენობები არის ადგილი, რომელსაც ყველა ჩვენგანის ახალგაზრდობა უკავშირდება. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია. იმედი

გვაქვს, არაერთ საინტერესო პროექტსა და ღონისძიებას დაგეგმავთ ერთად,“ - განაცხადა მემორანდუმზე ხელმოწერისას აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა**.

„ამ დოკუმენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ის არის, რომ ჩვენ დაგეგმილი გვაქვს და ერთობლივი ძალებით შევძლებთ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში ბიბლიოთეკების გახსნას. ეროვნული ბიბლიოთეკა მათ ნიგნადი ფონდით დაეხმარება. დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში რამდენიმე ბიბლიოთეკა უკვე გაეხსენიო. ასევე დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები. ეროვნული ბიბლიოთეკა ყოველთვის დაუთმობს თავის სივრცეს აფხაზეთის კულტურის, ხელოვნებისა და განათლების წარმომადგენლებს“, - განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ **მირიან ხოსიტაშვილმა**.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე **ბელა კოპალიანი** ესაუბრა მირიან ხოსიტაშვილს, 5 მაისს ქალაქ ზუგდიდში დაგეგმილი ვიზიტის შესახებ, რომლის ფარგლებშიც, აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეცემათ წიგნები, რაც საგრძნობლად გაამდიდრებს სკოლების



დიმიტრი ჯაიანი და მირიან ხოსიტაშვილი

მწირ ბიბლიოთეკებს და ხელს შეუწყობს მოზარდებში კითხვისა და ზოგად საგან-

მანათლებლო პროცესისადმი ინტერესის გაღვივებას.

ქართული უნივერსიტეტი აფხაზეთის სკოლებს კარებს ფართოდ უღებს

ნატო ჯორსანია

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო მის დაქვემდებარებაში არსებული სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის დახმარების გზებს განუწყვეტლივ ეძებს. ამ თვალსაზრისით ახლახან აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მანანა ქვაჩახია წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ სერგო ვარდოსანიძესა და უნივერსიტეტის პროფესორებს შეხვდა. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ასევე სამინისტროს თანამშრომლები, აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები.

სერგო ვარდოსანიძე სტუმრებს ქართული უნივერსიტეტის ანწყოსა და მომავალზე, დაპრობილ თუ დასაპრობ მწვერვალზე ესაუბრა. აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და სწავლის თავისებურებები გააცნეს უნივერსიტეტის პროფესორებმა: ივანე წერეთელმა, გურამ გოგიშვილმა, თინათინ ფანცულაიამ, თეოდორე ზარქუამ, ვახტანგ სართანიამ და ვახტანგ გურულმა.

აფხაზეთის საჯარო სკოლების უფროსკლასელებს უნივერსიტეტის აუდიტორიები, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ჰუმანი-



სერგო ვარდოსანიძე

ტარული ფაკულტეტები დაათვალიერებინეს. ბოლოს დაისახა თანამშრომლობის საინტერესო გეგმები, რისი დაკონკრეტებაც ვთხოვეთ **წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორს სერგო ვარდოსანიძეს**:

– უპირველესად მინდა, მივესალმო აფხაზეთიდან დევნილ თანამემამულეებს, ჩვენს დებსა და ძმებს და გამოვხატო ჩემი უდიდესი პატივისცემა მათ მიმართ, თითოეული იმ ადამიანის მიმართ, ვინც მართლაც რომ გოლგოთა გამოიარა. საკუთარი სახლ-კარიდან ხალხის აყრა მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში მხოლოდ იმიტომ,

რომ ვილაცას ყელში ეჩხირება მისი ქართულობა, რა თქმა უნდა, უდიდესი ტრაგედიაა. ყოველივე ეს დიდი პრობლემაა თითოეული ქართველისთვის და თუ გლობალურად შევხედავთ, მთელი მსოფლიოსთვის, რადგან ყველას თვალწინ, დღისით-მზისით, ამ ადამიანების მიმართ გამოიყენეს ის მეთოდები, რასაც დიდი სახელმწიფოები და იმპერიები ჩვენს დღე-მე-8, მე-9, თუნდაც მე-17 საუკუნეებში მიმართავდნენ.

ჩვენ ყველანი ვალში ვართ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წინაშე. ვალში ვართ იმიტომ, რომ მათთვის თითოეულმა ქართველმა, ვისაც დევნილობა არ განუცდია, იმაზე მეტი უნდა გააკეთოს, ვიდრე ახლა აკეთებს. ქართული უნივერსიტეტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის მიერ არის დაფუძნებული, ამჟამად მისი უწმინდესობა და უნეტარესობა გახლავთ ცხუმ-აფხაზეთის ეკლესიის მმართველიც, რაც აფხაზეთის საჯარო სკოლების მისი უშუალო მფარველობის ქვეშ ყოფნასაც თავისთავად მოიპოვებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გვინდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, დახმარების ხელი გაუწოდოთ. ამ სურვილით

იყო ნაკარნახევი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლების ჩვენთან ვიზიტიც.

– **კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს დახმარება?**

– მოსწავლეებს, ვინც, რა თქმა უნდა, ჩვენს უნივერსიტეტში სწავლას მოისურვებს, გარკვეულ შეღავათებს ვპირდებით. აფხაზეთის სკოლების მასწავლებლებს კი ქართული უნივერსიტეტი ჩაუტარებს კონსულტაციებს; დაეხმარება, რათა წარმატებით ჩააბარონ მასწავლებლებისთვის დაწესებული სასერთიფიკაციო გამოცდები; უანგაროდ გადასცემს მათ თანამედროვე ლიტერატურას, რაც ინოვაციებთან, სიახლეებთან არის დაკავშირებული და უნივერსიტეტს მოეძეება.

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ფიზიკის, ეკოლოგიის არაჩვეულებრივი კაბინეტ-ლაბორატორიები და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და პედაგოგებს შეეძლება, ისარგებლონ ამ სიკეთით, რაც მათთვის ერთგვარი შევება იქნება. ჩვენ ამით გვინდა შევეხიდოთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც, რომელიც, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს აკეთებს ამ მიმართულებით. საბოლოოდ, ჩვენი მიზანია აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა პედაგოგებმა და მოსწავლეებმა ბევრად უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი.

ხარისხიანი განათლების მისაღებად

თაორა ბიბლაია

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ესტონეთის დელეგაცია ეწვია. ვიზიტი დაგეგმილი იყო პროექტის „ხარისხიანი განათლება სოციალური რისკის ბავშვებისათვის“ ფარგლებში, რომლის მიზანია ესტონეთის სინამდვილეში ამ თვალსაზრისით არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. პროექტის მიზანი თანხვედრაშია იუნესკოს მიზნებთან - „განათლება ყველასათვის“ და მილენიუმის განვითარების მიზნებთან - განათლების ხარისხის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა.

პროექტში ჩართულნი არიან ესტონეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია და საქართველო. პროექტის პარტნიორი გახდა ასევე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

ესტონური დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. ესტონეთის საელჩოს, აფხაზეთის მთავრობის, ორგანიზაციის „სკოლა, ოჯახი, საზოგადოებასა“ და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტ-



ესტონეთის დელეგაცია სამინისტროში

ტროს შორის. მემორანდუმს ხელი მოაწერეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვახტანგ ყოლბაიამ**, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა**, ორგანიზაციის „სკოლა, ოჯახი, საზოგადოების“ ხელმძ-

ღვანელმა **ლამა მკურნალიძემ** და თბილისში ესტონეთის საელჩოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ სვენ სიპრატიმ.

ესტონეთის საელჩოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ **სვენ სიპრატმა** აღნიშნა, რომ ესტონეთის საელჩო მხარს უჭერს

საქართველოში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით კი დევნილების ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამებში. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ ისაუბრა ესტონური მხარის ჩართულობაზე, ასევე აღნიშნა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანებული ქვეყნის მხარდაჭერა, მით უფრო, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ფონზე.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა სიხარული გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ სწორედ სამინისტროში შედგა ესტონურ მხარესთან თანამშრომლობის პირველი შეხვედრა და, რომ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო მხარს დაუჭერს წარმოდგენილი პროექტების განხორციელებას.

შეხვედრაზე პროექტის მიმართულებების შესახებ და მასში აფხაზეთის სკოლების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე **ბელა კოპალიანმა**.

„როგორც ადამიანი გულის გარეშე, ისე საქართველო უაფხაზეთოდ ვერ იარსებებს“

ითქვა 23 მაისს გამართულ „აფხაზეთობაზე“

მაია შონია

„აფხაზეთობის“ აღნიშვნა გმირთა მოედანზე გაგრძელდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ და მთავრობის სხვა წევრებმა საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს. მემორიალთან ის მოქალაქეებიც მივიდნენ, რომლებმაც აფხაზეთის ომში ახლობლები დაკარგეს.

ვახტანგ ყოლბაიამ „აფხაზეთობის“ ტრადიციის დამკვიდრების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და განაცხადა: „ეს თარიღი ჩვენივეს გლოვის, ტირილის, სულიერი განცდების დღე იყო მუდამ. მაგრამ ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ ჩვენი პატრიარქის ბრძნული სიტყვები: ტირილს, გლოვას, თავისი ვადა აქვს. დროა მომავალზე ვიზრუნოთ, რომელიც ჩვენ თავად უნდა შევქმნათ. 23 მაისი – სვიმონ კანანელის ხსენების დღე და „აფხაზეთობა“ ერთნაირად ეკუთვნით აფხაზე-



დმიტრი ჯაიანი

ბს და ქართველებს. ამიერიდან ეს დღე ზეიმის დღედ უნდა ვაქციოთ და მან ახალი შუქი უნდა შეიტანოს კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში. ასეთი სიბრძნისა და წინდახედულებისთვის ჩვენ ყველანი უდიდეს მადლობას მოვასხენებთ პატრიარქს. სვიმონ კანანელი პირველი საუკუნის 50-იან წლებში აფხაზეთში მოღვაწეობდა და შემდეგ აფხაზეთში დარჩენა მოინდინა. მან ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ქართველები და აფხაზები ერთად მოქცეულიყვნენ ქრისტიანებად. თავისი მისია სვიმონ კანანელმა ბრწყინვალედ შეასრულა და აღესრულა კიდევ აფხაზეთში. მისი განსასვენებელიც აფხაზეთშია. წმინდანის საფლავზე აგებული ახალი ათონის მონასტერი კი ჩვენი, აფხაზების და ქართველების ერთობის გვირგვინია. ამიტომაც

აბსოლუტურად კანონზომიერია და ნამდვილად არ არის შემთხვევითი, რომ პატრიარქმა აფხაზეთის დღე იმ მოციქულის სახელს დაუკავშირა, რომელმაც აფხაზეთისათვის, საქართველოსთვის იღვანა, იტანჯა და ღვთით მადლცხებული აღესრულა“.

შემდეგ ბავშვთა ქალაქ „მზიურში“, აფხაზეთის ღირსეული წარმომადგენლების მემორიალი გაიხსნა. მემორიალური ქვის ავტორია მოქანდაკე ზურაბ კოკაია. ქვაზე 13 პიროვნების სახელი და გვარია ამოტიფრული. ესენი არიან: დმიტრი (არზაყან) ემხვარი, ილია ვეკუა, აკაკი ჩხენკელი, გიორგი შარვაშიძე, ამბროსი ხელაია, დმიტრი გულია, ლეო ბოკერია, ზურაბ სოტკილავა, ავთანდილ (ბასა) ლოლობერიძე, ვიტალი დარასელია, ვიქტორ სანევეი, ვლადიმერ ბარქაია და გიორგი (ჟორა) სიჭინავა. ეს ადამიანები დევნილ მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად შეიარჩნენ. გამოკითხვას აფხაზეთის მთავრობა რამდენიმე თვის განმავლობაში სოციალური ქსელების მეშვეობით ატარებდა.

მემორიალის საზეიმოდ გახსნის ცერემონიალს უძღვებოდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დმიტრი ჯაიანი, რომელმაც თქვა: „სიმბოლურია, რომ ეს ქვა ენგურის ნაპირებიდან არის გადმოტანილი, იმ ნაპირებიდან, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია და საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ამ ქვაზე ქართველებთან ერთად ჭეშმარიტი აფხაზი მამულიშვილების გვარ-სახელებია ამოტიფრული. თავის დროზე აფხაზეთში ისინი გვერდიგვერდ იდგნენ და ემსახურებოდნენ საქართველოს და მის განუყოფელ აფხაზეთს. ასე მგონია, რომ ამ ქვით და ამ სიმბოლიკით ამ ერთიანობას ესმება ხაზი და იმასაც, რომ ჩვენ ორივემ დავუშვით უზარმაზარი შეცდომები, რომელზეც უნდა ვისწავლოთ. ქართველებმა დავეწყეთ ამ შეცდომების გაცნობიერება, აფხაზებმაც უნდა მოგვბადონ“.

„ეს ის ხალხია, რომელთაც თავიანთი საქმიანობითა და მოღვაწეობით უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის განვითარებაში. ქვაზე ამოტიფრული გვარ-სახელების შერჩევის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმიც ეს იყო. ბუნებრივია, შეიძლება უკმარისობის განცდაც გაჩნდეს, მაგრამ ეს სია თანდათან გაიზრდება,“ — აღნიშნა ვახტანგ ყოლბაიამ.

საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ასევე საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებმა. შესრულდა ქართულ-აფხაზური სიმღერები.

დღის ბოლოს საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერითა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია – „აფხაზეთის ისტორია და თანამედროვეობა“.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა მეუფე ანდრია გვაზავა: „აფხაზეთის მკვიდრთათვის ეს არის სიხარულისა და სევდის დღე, რადგან არ შეგვიძლია ვიზეიმოთ იგი შესაფერ-



მემორიალური ქვის გახსნაზე

ისად. არ შეგვიძლია მოვინახულოთ ივერიის მთა ახალ ათონთან, წმიდა მოციქულის საფლავი და იქ აღვაგლინოთ ღოცვა. დარწმუნებული ვარ, ეს დღე გახდება ჩვენი ერთობლივი ზეიმის დასაბამი. პატრიარქი არის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტიც და ჩვენ გვჯერა, რომ აფხაზეთში დაბრუნება მასთან ერთად მოხდება.“

მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ თქვა: „აფხაზეთი მუდამ იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, აფხაზეთის ეკლესია კი ქართული ეკლესიისა. იმედი გვაქვს, მოვა დრო და ყველანი ერთად ვილოცებთ აფხაზეთში.“



მეუფე ანდრია (გვაზავა)

კონფერენციის მონაწილეებს მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ და იმედი გამოთქვა,

რომ საქართველო მომავალში ამ დღეს უფრო მასშტაბურად აღნიშნავს.

სოხუმის უნივერსიტეტის რექტორმა ჯონი აფაქიძემ აღნიშნა, რომ „კოლხეთი და კოლხური კულტურა ქრისტეს დაბადებამდე იყო ქართული კულტურის ნაწილი. აფხაზებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვით. დღესაც მხოლოდ ერთად ყოფნით შევძლებთ განვითარებული ქვეყნის აშენებას.“

„თუ აფხაზური ეთნოსი დაიკარგა, შემდეგ ქართული ეთნოსის ჯვრიც დადგება. მხოლოდ ერთად შევძლებთ გადარჩენას. მომავალში მთელი საქართველო უნდა მოიცვას „აფხაზეთობის“ დღესასწაულმა,“ — განაცხადა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ.

„აღამიანს გული თუ არა აქვს, ვერ გაძლებს. ასევე, საქართველო უაფხაზეთოდ ვერ გაძლებს, — თქვა წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ და დასძინა, — სწორედ ამის გათვალისწინებითაც, მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ „აფხაზეთობის“ დანესებით აფხაზეთის, ცოტა არ იყოს, გაფრმკრთალებული პრობლემის გააქტიურება დაისახა მიზნად. ეს კი აუცილებელია, რათა თითოეული ქართველის ცნობიერებაში მყარად იყოს აზრი, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რომ ძირძველი ქართველებით დასახლებული ეს ნალკოტი დროებით არის ოკუპირებული და იქ აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ.“

სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდნენ და მოხსენებები წაკითხეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორებმა.

კონფერენცია კომპოზიტორ ია მაისაიას სიმღერის „აფხაზეთო, საქართველო მშვენებავ!“ კლიპის ჩვენებით დასრულდა.

ფრანმა სწორედ აფხაზეთისკენ აიღო გეზი

აქაბარინა გადილია

ახლახან აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო სამუშაო ვიზიტით დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. ვიზიტის პროგრამა ითვალისწინებდა კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში და ქალაქ ზუგდიდში მცხოვრებ დევნილ საზოგადოებასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან შეხვედრებს. იმ დღის მთავარი ამბავი იყო ასევე ხარაგაულის №2 საჯარო სკოლისა (დირექტორი ვალერი გოგნაძე, აფხაზეთის ომის მონაწილე) და ზუგდიდში განთავსებული აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის (დირექტორი ლუიზა შონია) დამეგობრება.

დამეგობრების ცერემონიალი გაიმართა აფხაზეთის №1 საჯარო სკოლაში, სადაც უამრავ სტუმარს მოეყარა თავი. მათ შორის იყვნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის მთავრობისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ორივე სკოლის მოსწავლეები ჯერ ერთმანეთს თავიანთი შემოქმედების წარმოჩენაში შეეჯიბრნენ — იმღერეს, იცეკვეს, ლექსები წაკითხეს, ძირითადად პატრიოტულ თემაზე. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დმიტრი ჯაიანმა თავისი შთაბეჭდილება ასე გამოხატა: „აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესება თითოეული ქართველის ვალაა. ყველას უნდა გვახსოვდეს აფხაზეთი. მადლობა ამისთვის მოზარდებს და მათ მასწავლებლებს. ამასთანავე, გაოცებული ვარ ხარაგაულის და აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეების მსახიობური მონაცემებით. მოდის თაობა, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში“.

შემდეგ აფხაზეთის №1 და №11 საჯარო სკოლების მოსწავლეები ხარაგაულელ მეგობრებთან ერთად ენგურის ხიდისკენ გაე-



მართნენ. აქ მათ მშვიდობისა და მეგობრობის ნიშნად მტრედები და ფრანი გაუშვეს ცაში. თითქოს სიმბოლურად, ფრანმა სწორედ აფხაზეთისკენ აიღო გეზი.

შეხვედრის ოფიციალურ ნაწილს კომპინატის კულტურის ცენტრმა უმასპინძლა. აქ იყვნენ კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში და ქ. ზუგდიდში მცხოვრები დევნილი მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები, რომლებიც თავიანთთვის საჭირო და აუცილებელ საკითხებზე საუბრობდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დმიტრი ჯაიანი, ხარაგაულის რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის დირექტორი ვალერი გოგნაძე და სხვ.

შეხვედრას უძღვებოდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ზელა კოპალიანი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა, აგრეთვე, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ახალ შესაძლებლობებზე, რომელშიც შეიძლება თითოეული დევნილი მოსწავლე და მასწავლებელი ჩაერთოს.

დამსწრეთა წინაშე საინტერესო პროგრამით წარსდგა ტრიო „ბრავო“. აქვე შედგა კლიპის „აფხაზეთო, საქართველოს მშვენებავ!“ პრეზენტაცია. სიმღერის ავტორია ია მაისაია, ხოლო სიმღერას ავტორთან ერთად ანსამბლი „მუხამბაზი“ ასრულებს. კლიპის რეჟისორი და სცენარის ავტორია გოგა დადუნაშვილი. კლიპში აფხაზეთიდან დევნილები მონაწილეობენ.

ლონისძიების ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა ხარაგაულის და აფხაზეთის საჯარო სკოლებს ბიბლიოთეკებისთვის საჩუქრად წიგნები გადასცა.

პარალელურად აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, დარიგდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM), ჩეხური ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“, ორგანიზაცია „საზოგადოებრივი პროგრამების ფონდის“ მიერ გამოცემული საგანმანათლებლო-საინფორმაციო მასალები.

შეხვედრის საინტერესოდ წარმართვაში აქტიურად მონაწილეობდნენ კინოცენტრი „აფხაზეთის“ თანამშრომლები: ლილა თორია, ლილა ბაღაია, მედია ზუზბაია, მინისტრის აპარატის უფროსი ნონა ქარაია და ახალგაზრდული ალიანსის წევრები: სალომე კილანავა, ხათუნა შონია, გვანცა კრანაშვილი, ვაჟა კოკაია, ვერიკო კვარაცხელია. შეხვედრას არაერთი მხარდამჭერი ჰყავდა და ამიტომაც გამოვიდა სანახაობრივად და შინაარსობრივად ასე დატვირთული.

25 წლიანი ისტორიის გზაზე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იუბილე აღნიშნა

პირველი გვერდიდან

ამ ხნის განმავლობაში ბევრი დისერტაცია იქნა დაცული მის კედლებში, უამრავ ახალგაზრდა მეცნიერს შეენიჭო ხელი უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად, სსუ-ს არაერთი კურსდამთავრებული დღეს აქტიურად საქმიანობს სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში და წარმოსაჩენი ადამიანია. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მშვიდობისა და განათლების სამჭედლო უნდა იყოს, რათა ასე ღირსეულად ჩაგვიყვანოს მშობლიურ აფხაზეთში. შესაძლოა, ეს არ მოხდეს ხვალ და ზეგ, მაგრამ რწმენა, რომ სწორედ ასე იქნება, ურყევია! საუკუნის მეოთხედი არ არის ცოტა. ეს ის პერიოდია, როცა დაღვინდა ჩვენი მსოფლმხედველობა და დღეს სიამაყით ვიხედებით წარსულისკენ. ბატონების – ფელიქს ტყეზუჩავასა და ოთარ ჟორდანიას ღირეულობის ურთულესი დროიდან ხომ ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ უნივერსიტეტი გაძლიერებულიყო და წელში გამართულიყო. დღეს მე ვულოცავ ამ შესანისნავ თარიღს ბატონ ჯონი აფაქიძეს, უნივერსიტეტის მთელ კოლექტივს და სტუდენტობას და კვლავაც წინსვლას ვუსურვებ, – თქვა ვახტანგ ყოლბაიამ.

– ჩემთვის ბედის საჩუქარია ის, რომ ამ უნივერსიტეტთან ერთად ხანგრძლივი გზა გამოვიარე. ამ კოლექტივში თითქმის 32 წელი ვიმუშავე, – განაცხადა **აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავამ**, – მემაცუება ის, რომ თქვენთან ერთად ვიდექი აფხაზეთში. გარდა ძმობისა და თბილი ურთიერთობისა, ქართველებს არასოდეს არაფერი შეგვითავაზებია აფხაზეთისთვის. მიმაჩნია, რომ დღესაც მხოლოდ სიმართლე და მიტევებაა ჩვენი გზავნილი ენგურს გაღმა მცხოვრებთა მიმართ. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ფელიქს ტყეზუჩავას, ოთარ ჟორდანიას და სხვებს, ვინც მოახერხა, შეინარჩუნა და მკვდრეთით აღადგინა ეს უნივერსიტეტი. დღევანდელი დღეც ტრადიციაა. ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შორის ჩატყბილი არ არის, ის მხოლოდ გაბზარულია და აუცილებლად გამოთელდება.

– მახსოვს ის მძიმე დღეები, მახსოვს სოსო ადამია, მურმან ბერია, ვოვა ვეკუა და სხვები და სხვები, მახსოვს ცოცხლები, რომლებიც დღეს ამ დარბაზში სხედან, – ასე დაიწყო თავისი გამოსვლა **აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა**, – ბატონი ფელიქს ტყეზუჩავა მინდა ვახსენო, რომელიც დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია და რომელიც თავის დროს კაცურად იდგა უნივერსიტეტის დასაცავად. ქართულ სათავეებთან, ქართული საქმის მედრომედ იდგა მაშინ თვით ეს უნივერსიტეტი აფხაზეთში და დღეს მადლობას გიხდით თქვენ დიდი ადამიანობისა და ვაჟკაცობისთვის.

– ეს არის ფლაგმანი უმაღლესი დაწესებულება, რომელიც მხარში უდგას სახელმწიფოს არაერთი სოციალური პროექტის განხორციელებაში, – თქვა **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა**



მინდია ოკუჯავამ და მთელი უწყების, უშუალოდ მინისტრის თამარ სანიკიძის სახელით საიუბილეო თარიღი მიულოცა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

– ჩვენმა კოლექტივმა დიდი და რთული გზა გამოიარა და აგრძელებს საქმიანობას საქართველოს დედაქალაქში. იმ ქარცეცხლიანი წლების გახსენება მტკივნეულია, მაშინ ბევრი ცრემლი დაიღვარა... მაგრამ საამაყოა, რომ ჩვენ გაერთიანება და განმტკიცება შევძელით, – აღნიშნა **სსუ-ს პროფესორმა რევაზ ხარეზავამ**, რომელიც, თავის სხვა კოლეგებთან ერთად, თსუ სოხუმის ფილიალის დაარსების სათავეებთან იდგა.

– ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა უნივერსიტეტი კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიდეს, – თქვა თსუ სოხუმის ფილიალის (ამჟამინდელი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის) ყოფილმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ, – საამისოდ უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი რეზერვი აქვს. ჩვენი საბოლოო მიზანი ეს არის, დავიწყეთ ინტელექტუალური სვლა აფხაზეთისკენ.

– ამიერიდან სსუ-ს აკადემიური პერსონალი-სა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები ყოველი წლის 14 მაისს გაიხსნება, – აღნიშნა **სსუ სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ზურაბ პაპასიქირმა**, რომელიც საიუბილეო შეხვედრას უძღვებოდა, – ეს სსუ-ს რექტორის, პროფესორ ჯონი აფაქიძის ინიციატივაა და ჩვენს უნივერსიტეტში ტრადიციად იქცევა.

აუდიტორიის წინაშე მოხსენებით – „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 25 წლის გადასახე-

დიდან“ – წარსდგა **სსუ-ს რექტორი, პროფესორი ჯონი აფაქიძე**. მან მიმოიხილა უმაღლესი სასწავლელის მიერ განვლილი გზა, მისი დაარსებიდან დღევანდლობამდე.

– თსუ სოხუმის ფილიალის პირველი დირექტორი იყო ფელიქს ტყეზუჩავა, – თქვა ჯონი აფაქიძემ, – შემდეგში, როცა დევნილი სასწავლებელი თბილისში აღდგა და შვიდ საშუალო სკოლაში განთავსდა, მას ხელმძღვანელობდა პროფესორი ოთარ ჟორდანია. გვირობის ტოლფასი იყო ის, რომ იმ ურთულეს პერიოდში, ფაქტობრივად, 50 დღეში უნივერსიტეტის კოლექტივმა მოახერხა კონსოლიდაცია და სასწავლო პროცესის განახლება. მაშინ ხომ თითოეული ადამიანის, თითოეული თანამშრომლის ფიზიკურად გადარჩენის საკითხი იდგა. სხვადასხვა წლებში უნივერსიტეტს სათავეში ედგნენ პროფესორები – რევაზ კაკუზავა და ალექსანდრე შანგუა.

რექტორმა სლაიდების თანხლებით, წლების მიხედვით წარმოადგინა უნივერსიტეტის განვითარების დინამიკა. იგი შეეხო სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსებასა და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას, სახელფასო განაკვეთის მატებას, უნივერსიტეტში სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის საკითხებს, სსუ-ში მოქმედ სამეცნიერო პროექტებსა და პროგრამებს, სსუ-ს ურთიერთობებს საქართველოში თუ საზღვარგარეთ არსებულ სხვადასხვა უმაღლეს და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო ცენტრებთან და ბიბლიოთეკებთან. რექტორმა ხაზი გაუსვა სსუ-ს მჭიდრო ურთიერთობებს ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებულ საელჩოებთან და წარმომადგენლობებთან, აგრეთვე, საქა-

რთველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, რომელთან ერთადაც უნივერსიტეტი ახალი ქართული შრიფტების შემუშავებაზე მუშაობს. რექტორმა ისაუბრა საქართველოს საპატრიარქოს, პირადად უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II დიდი მხარდაჭერის შესახებ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება პროფესორებისა და სტუდენტების მიერ ორგანიზებული კულტურული ღონისძიებები, შეხვედრები ხელოვნებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, ლიტერატურული საღამოები, ტარდება საორტული შეჯიბრებები და ა.შ. მომავალში უნივერსიტეტი თქვენთან ერთად კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს, – დასძინა ჯონი აფაქიძემ.

წიშანდობლივი იყო, რომ თემაზე – „აფხაზეთის ოკუპაციის სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტები“ ისაუბრა **სსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ნიკა ფარცვანიამ**. მან ღრმად და ახლებურად გააანალიზა კონფლიქტის წარმოშობის წინაპირობები და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები.

დასასრულ, სსუ-ს რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის სტუდენტს, ფართო საზოგადოებას, უნივერსიტეტის მთელ კოლექტივსა და სტუდენტობას. რექტორმა დარბაზში მსხდომთ საქართველოს დიდი მეფის – თამარის ხსენების დღე მიულოცა, რომელიც სიმბოლურად სსუ-ს დაარსების თარიღს ემთხვევა.

საკილოტე პროგრამა სკოლაგელთათვის

თაონა ბიბლაია

„სასკოლო მზაობის ცენტრები საქართველოს სასოფლო რეგიონებში“ ერთ-ერთი ის საერთაშორისო პროექტია, რწმენაშიც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო მონაწილეობს. პროექტს ახორციელებს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, პოლონური საგანმანათლებლო ორგანიზაცია „ედუკატორი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასოციაცია „კივიტას გეორგია“.

საკილოტე პროგრამა გულისხმობს საქართველოში 5 წლის ასაკის ბავშვების სასკოლო მომზადებას იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც არ არის საბავშვო ბალები. პროექტის მიხედვით შერჩეული სკოლების ბაზაზე ჩატარდება სკოლამდელი განათლების ცენტრების სარემონტო სამუშაოები, თითოეული ცენტრი აღიჭურვება შესაბამისი ავეჯით. ასევე შერჩეული პედაგოგები გაივლიან გადამზადებას, ისინი საკილოტე პროექტის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნებიან მეთოდური მასალებით და სახელფასო ანაზღაურებით. პროექტი სრულ თანხვედრაშია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პოლიტიკასთან სკოლამდელი განათლების სფეროში.

ამ დღეებში პატარძელში „სასკოლო

მზაობის ცენტრების“ პედაგოგებისთვის ტრენინგების პრეზენტაცია გაიმართა. ამ პედაგოგებს შორის აფხაზეთის გალის ოკუპირებული ზონის 3 სკოლის მასწავლებლებიც არიან.

ტრენინგების დაწყებას დაესწრო **აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ბელა კობალიანი**, რომელიც ამ პროექტთან დაკავშირებით მასში პოლონეთში იმყოფებოდა. იქ მას შეხვედრები ჰქონდა ვარშავის კოპერნიკის სამეცნიერო, საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ინიციატივების და ასევე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრებში. გამოცდილების გაზიარების მიზნით ესაუბრა საგანმანათლებლო სფეროს ექსპერტებს. პოლონელმა კოლეგებმა საქართველოს დღევანდელი წარმომადგენლებს საუკეთესო პრაქტიკის მქონე სკოლამდელი განათლების სპეციალისტების მიერ ჩატარებული მეცადინეოები გააცნეს. გალის 3 ოკუპირებული სკოლის ამ პროექტში ჩართვის საკითხიც მაშინ გადაწყდა.

ტრენინგგავალი პედაგოგები მუშაობას 2014 წლის 1 სექტემბრიდან შეუდგებიან.

საკილოტე პროექტის წარმატებით განხორციელების შემდეგ სასკოლო მზაობის ცენტრების დაფუძნება საქართველოს მასშტაბით კვლავ გაიზრდება. ამ პროცესში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროც აქტიურად იქნება ჩართული.

საოცნებო ქალაქის ძიებაში

თაონა ბიბლაია

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროექტის „წლის მოსწავლე“ პრეზენტაცია გაიმართა. კონკურსში მონაწილე 12 ფინალისტს შორის 3 საუკეთესო თემის ავტორი გამოვლინდა.



თემის „სოციალური ქსელები“ საინტერესოდ წარმოდგენისათვის სიმბოლური საჩუქარი - სამეცნიერო ენციკლოპედია გადასცა. შემდეგ მანანა ქვაჩახიამ ისაუბრა პროექტის მნიშვნელობაზე: - „წლის საუკეთესო მოსწავლე“ წლეულს მეოთხედ ტარდება. ყოველწლიურად ვცდილობთ განვავსოთ შინაარსი და თემატიკა, რომ ავამაღლოთ მასში მონაწილე მოსწავლეების მოტივაცია, საზოგადოებრივი აქტიურობა, ზრუნვა განათლების ხარისხის ამაღლებაზე. ფინალისტებს გამარჯვება მიულოცა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა და განაცხადა: მიხარ-

ია რომ, ასე საინტერესოდ აზროვნებს ახალი თაობა, ვხედავ ცოდნის სურვილს. მათ არც უნახავთ აფხაზეთი და მხოლოდ მშობლები-სა და პედაგოგებისგან სმენიათ მშობლიურ კუთხეზე. ვუსურვებ მათ დიდ წარმატებებს და ყველაზე სანუკვარი ოცნების ახდენას - „საოცნებო ქალაქში“ დაბრუნებას. დასასრულ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ნანა ელიზბარაშვილმა კი გამოთქვა იმედი, რომ მსგავსი შემოქმედებითი ურთიერთობა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და სახლ-მუზეუმს შორის გაღრმავდება და სისტემატიურ ხასიათს მიიღებს.

საერთაშორისო ოლიმპიადა ილია ვეკუას თასზე

ინგო რუხაძე

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა მეგრე საერთაშორისო ოლიმპიადა პროგრამირებაში ილია ვეკუას თასზე. ოლიმპიადის მონაწილეთა შორის საუკეთესო ქართველი სტუდენტი და მოსწავლე პროგრამისტების გარდა, აზერბაიჯანის, რუსეთის, უკრაინის და თურქეთის ძლიერი სტუდენტი-პროგრამისტებიც იყვნენ. ტრადიციულად, გაიმართა როგორც გუნდური, ასევე პერსონალური შეჯიბრება. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დანესებული ყოფილი მართავას სახელობის სპეციალური პრიზი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა საუკეთესო ქართველ მონაწილეს – ნიკოლოზ ციმაკურიძეს, თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტს, საზეიმოდ გადასცა. ოლიმპიადა უპრეცედენტოდ მასშტაბური აღმოჩნდა. მას უკვე მესამედ ზედიზედ პატრონაჟი გაუწია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ, მხარდამჭერი კი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო იყო. თბილისის პარალელურად, ოლიმპიადა როგორც გუნდურ, ისე პერსონალურ შეჯიბრში გაიმართა, აგრეთვე, ნოვოსიბირსკში, სანქტ-პეტერბურგში, მოსკოვსა და ვინიცაში (უკრაინა). ოლიმპიადის გუნდურ შეჯიბრებაში 102

გუნდი მონაწილეობდა. აქედან თბილისში თავი მოიყარა 50-მა გუნდმა. მათგან 13 საზღვარგარეთიდან (2-2 თურქეთიდან და რუსეთიდან, ერთი უკრაინიდან და 8 აზერბაიჯანიდან) იყო ჩამოსული. ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალი სტუ-ს საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. მონაწილეებს მიესალმნენ: სტუ-ს პრორექტორი, პროფესორი ზურაბ გასიტაშვილი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, პროფესორი ილია თავხელიძე (ილია ვეკუას შვილიშვილი). ოლიმპიადის დირექტორმა საერთო შედეგები შეაჯამა, რის შემდეგაც მონაწილეებს შესაბამისი პრიზები და სერთიფიკატები გადაეცათ. ყველა მონაწილემ მიიღო სამახსოვრო მაისური ოლიმპიადის სიმბოლიკით, ყველა უცხოელი მონაწილე დასაჩუქრდა სუვენირებით. დახურვას ესწრებოდნენ ჩამოსული გუნდების ხელმძღვანელები, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მანანა ქვაჩახია, ოლიმპიადის ჟიურის თავმჯდომარე, პროფესორი ჰამლეტ მელაძე, ოლიმპიადის ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი ზურაბ ნევერაძე. დახურვის ბოლოს, ოლიმპიადის დირექტორმა მადლობა გადაუხადა მონაწილეებს „სამართლიანი თამაშის წესებისადმი“ ერთგულებისთვის. ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ ოლიმპიადამ ხელი შეუწყო სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენელ ახალგაზრდებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამყარებას.



„წლის საუკეთესო თხზულება“ გამოვლინდა

ია მოწაფია

„წლის საუკეთესო თხზულება“ – ასე ჰქვია ლიტერატურულ კონკურსს, რომელიც აგერ უკვე რამდენი წელია აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ტრადიციად დამკვიდრდა. კონკურსის მიზანია შემოქმედებითი უნარ-ჩვევების მქონე ახალგაზრდების წარმოჩენა, მოსწავლეების წახალისება, მათი ინტელექტუალური ზრდა-განვითარება.

წლეულს კონკურსში აფხაზეთის საჯარო და გალის ოკუპირებული ზონის სკოლების მოსწავლეებთან ერთად ადგილობრივი სკოლების დევნილი მოზარდებიც მონაწილეობდნენ. კონკურსის მონაწილეებს უნდა წარმოედგინათ თავისუფალ თემატიკაზე შემნილი მხატვრული ნაწარმოებები და თარგ-

მანი შემდეგ ნომინაციებში: პოეზია; პროზა, დრამატურგია (პიესა, სკეტჩი); მხატვრული თარგმანი (აფხაზურიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან და სხვ.); შეეთხზათ ლექსი დიმიტრი გულიას ლექსის მხატვრული თარგმანის თანდართული პნკ-არედის მიხედვით. საბოლოოდ 28 კონკურსანტმა 40 ნაშრომი წარმოადგინა, მათგან 11 პროზაული, 20 პოეტური და 6 თარგმანი (რუსულიდან – 1, აფხაზურიდან – 3, გერმანულიდან – 2). ახლახან კონკურსის შედეგები შეჯამდა და გამარჯვებულებს შორის ადგილები ასე გადანაწილდა: I – ადგილი – არჩილ გელენავა (ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა, მე-8 კლასი. ჩანახატი); II – ადგილი – მარიამ მუშკუდია (აფხაზეთის №5 საჯარო სკოლა, მე-9 კლასი, ლექსები); III – ადგილი – თათია ჯალალო-

ნია (აფხაზეთის №11 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი. ჩანახატი); IV-ადგილი – ანა ჩომაია (ქ.თბილისის გ. რამიშვილის სახ. №20 საჯარო სკოლა, მე-10 კლასი, თარგმანი გერმანულიდან). საპრიზო ადგილებზე კი გავიდნენ: ლაშა ჯიმშელია (თავილონის საშუალო სკოლა, მე-11 კლასი, თხზულება); ივლითი ხაზალია (აფხაზეთის №14 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი, თხზულება); ელენე ნაყოფია (ნარინჯოვანის სკოლა, მე-11 კლასი, ჩანახატი); ნათიკო ოყუჯავა (თავილონის სკოლა, მე-11 კლასი, თარგმანი აფხაზურიდან); ქრისტინა ტუფურია (აფხაზეთის №16 საჯარო სკოლა, მე-10 კლასი, ლექსი); მაქტინა გამისონია (ოტობაიას №1 საშუალო სკოლა, მე-10 კლასი, თარგმანი აფხაზურიდან), ლევან რატია (ოტობაიას №1 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი, თარგმანი გერმანულიდან).

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა მოსწავლეებს გამარჯვება მიულოცა და მათ სიგელები გადასცა. მინისტრმა კონკურსზე და მასში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სკოლების მოსწავლეების მონაწილეობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა: ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანი თავს დათრგუნულად გრძნობს, მაგრამ ახალგაზრდებში ნიჭი მაინც ფეთქავს და გზას პოულობს. ეს კონკურსი მათ ამ გზისა და ხშირ შემთხვევაში საკუთარი თავის პოვნაში ეხმარება. ვულოცავ კონკურსში მონაწილეებს გამარჯვებას და მომავალში შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ. საპრიზო ადგილებზე გასულ მოზარდებს სიგელებთან ერთად ელექტრონული წიგნები გადაეცათ.

ჩეტიქები – თავისუფლებისათვის ბრძოლაში

„თავისუფლებისათვის მებრძოლი კავკასიის უკანასკნელი არიერგარდი, კეთილშობილი ჩერქეზები ათასობით იხოცებოდნენ და არ ნებდებოდნენ. ისინი გმირულად იცავდნენ ჯერ კიდევ თავისუფალი ჩერქეზული მიწის ყოველ გოჯს. საბოლოოდ, ისინი შავ ზღვაში გადაყარეს“.

ადოლფ ჰერჟე,
„კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“.


ნაბო ჟორსანბია

„კავკასია - ბრძოლა თავისუფლებისთვის. ჩერქეზები“, ასე ჰქვია წიგნს, რომელიც „თავისუფლებისათვის მებრძოლი კავკასიის უკანასკნელი არიერგარდის, კეთილშობილი ჩერქეზების“ თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიას მოგვითხრობს. წიგნის ავტორია ისტორიის დოქტორი, პროფესორი ბეჟან ხორავა, გამოსაცემად მოამზადა გამომცემლობა „ლიტერამ“ (საგამომცემლო რედაქტორი თამარ ებრაღიძე). წიგნი გამოვიდა ჩერქეზული (ადილური) კულტურის ცენტრისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეგიდით. წიგნი „კავკასია - ბრძოლა თავისუფლებისთვის. ჩერქეზები“ მკითხველს წარუდგინა ჩერქეზული (ადილური) კულტურის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა მერაბ ჩუხუაშვილმა.

ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარე კავკასიის ხალხები საერთო მტრებსა და საფრთხეებს, ოდითგან მოყოლებული, გაერთიანებული ძალებით უმკლავდებოდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ 1864 წელს თითქმის საუკუნოვანი ბრძოლა კავკასიისთვის რუსეთის გამარჯვებით არ დასრულდა. ამიერიდან რუსეთმა კავკასიის ხალხების საბოლოო დამორჩილება „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით გააგრძელა და ორმაგი სტანდარტების დიდოსტატმა ეს სტანდარტი კავკასიის ხალხებსაც თავს მოახვია. ამ პოლიტიკის კულმინაცია იყო აფხაზეთის 1992-1993 წწ. ომი, რომელშიც თავად თავისუფლებისთვის მებრძოლი ჩერქეზები, ჩერქეზები, დაღესტნელები... თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველების პირისპირ აღმოჩნდნენ.

გამარჯვება რუსეთმა მალე ჩერქეზების იმედი დაპყრობით განიმტკიცა. კავკასიის ხალხების ურთიერთობაში სინათლე მხოლოდ ამის შემდეგ, „ურმის გადაბრუნების“ შემდეგ გამოკრთა. ბეჟან ხორავას თქმით, „აფხაზეთის ომის დროიდან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობა ძალიან რთული იყო. იმპერია შეეცადა და მაინც კიდევ ჩრდილოკავკასიელ ხალხებში ქართველისა და საქართველოს სახით მტრის ხატი შეექმნა. მცირერიცხოვანი ერის, აფხაზების დაცვის მოტივით ამართლებდნენ ჩრდილოკავკასიელები ომში თავიანთ მონაწილეობას. მართალია, მოგვიანებით ბევრმა მათგანმა მოინანიო ამის გამო, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომში მათი ერთი ნაწილი ისევ ჩვენს მოწინააღმდეგეთა მხარეს ვიხილეთ.

ზვიად გამსახურდიასეული „ერთიანი კავკასიური სახლის“ შექმნის იდეა დავიწყებას მიეცა. თუმცა, თავისუფლებისთვის ბრძოლის მცადრ და უკომპრომისო გზაზე, კავკასიის თითქმის ყველა ხალხმა თვალნათლივ დაინახა ამ იდეისა და კავკასიის ხალხების ერთიანობის აღდგენის აუცილებლობა“. ამ ერთიანობის საფუძველი კი ჩვენი ნათესაობაა, რაც ქართულმა საისტორიო



ტრადიციამ „ქართლის ცხოვრებაში“ შემოგვინახა. ამის დასტურია ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია, ჩვენი ენების ერთ ენათა ოჯახში — იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში გაერთიანება, ეროვნული ტრადიციები და კულტურის სხვა ელემენტები“. მაშინ როცა „კავკასიური პრობლემების კვანი“ ისევ რუსეთს უპყრია ხელთ, „კავკასიელების გასათიშად გავლებული ზღუდეების ნგრევა“ ისევ ქართველებმა სცადეს.

„მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებული კავკასიის ხალხების მხარდაჭერას თავიანთი ქმედებებით, წერილებითა თუ ნაწარმოებებით დაუფარავად გამოხატავდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები - ვახტანგ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი წერეთელი, თედო სახოკია, იონა მეუნარგია და სხვები. კავკასიური ერთიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში აუცილებელი გახდა ისტორიის ქართველებში ჩაკარგული ამ რეალობის შესხენება, - აგრძელებს ბეჟან ხორავა, - კავკასიის ხალხების ჩვენკენ შემობრუნება და მათთვის იმის ჩვენება, რომ საქართველო, რუსეთის მსგავსად აგრესორი ქვეყანა არ არის, პირიქით, ჩვენ კავკასიელები ვართ და ჭირსა და ლხინში ერთად ვიყავით. ამ თვალსაზრისით პირველი ნაბიჯი გადაიდგა 2010 წელს. მაშინ შეიქმნა მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც საერთო იდეით - „კავკასია - ბრძოლა თავისუფლებისთვის“ უნდა მოეგროვებინა „რუსეთის იმპერიის აგრესიის წინააღმდეგ კავკასიის ხალხების“ ჩერქეზების, ვაინახების, დაღესტნელების ბრძოლის შესახებ მასალები და წიგნის სახე მიეცა“.

რუსეთის მიერ ჩერქეზი ხალხის მიმართ წარმოებული აგრესიული პოლიტიკის შესახებ მასალების მოძიება და ანალიზი დაევალა ბეჟან ხორავას, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს. 2010 წლის მარტში ჩერქეზული დიასპორის ორგანიზაციებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს პარლამენტს, ელიარებინა რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზი ხალხის გენოციდი მე-19 საუკუნეში. ქართველ მეცნიერთა მიერ მოპოვებული მასალები კავკასიის ხალხების წინააღმდეგ რუსეთის იმპერიის

აგრესიული პოლიტიკის შესახებ წარედგინა საქართველოს პარლამენტის რამდენიმე კომისიას და საფუძვლად დაედო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ისტორიულ დადგენილებას.

2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში ჩერქეზების მასობრივი განადგურებისა და ისტორიული სამშობლოდან განდევნის გენოციდის აქტად აღიარების შესახებ“.

ეს დადგენილება საქართველოს სახელმწიფოს კავკასიურ პოლიტიკაში შემობრუნების დასაწყისი გახდა; ამასთანავე, როგორც ჩერქეზი (ადილე) ხალხის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მათი აღორძინების დასაწყისიც. ჩვენმა მოძმე ხალხმა თვალნათლივ დაინახა, რომ საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ხალხი მათ გვერდით დგას.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან დაფუძნდა „ჩერქეზული კულტურის ცენტრი“, რომლის უმთავრეს ამოცანად იქცა ჩერქეზების ისტორიისა და კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია; ქართველ და ჩერქეზ ხალხებსა და მათ თვითმყოფად კულტურათა შორის დიალოგის დაწყება. ამ პროცესებში უნდა ჩართულიყვნენ მეცნიერებიც და კულტურის თვალსაზრისით წარმომადგენლები კავკასიის რეგიონებიდან და უცხოეთში არსებული კავკასიოლოგიური ცენტრებიდან“.

წიგნი „კავკასია - ბრძოლა თავისუფლებისთვის. ჩერქეზები“ თავდაპირველად თურქულ ენაზე გამოიცა და თურქეთში, ჩერქეზულ დიასპორაში გავრცელდა. წიგნის პრეზენტაცია გაიმართა სტამბულსა და ანკარაში 2011 წლის მინურულს. პრეზენტაციაზე მინვეული იყო თავად ავტორიც, რომელმაც ჩერქეზი ხალხის მადლიერება დაიმსახურა. წიგნი მოგვიანებით რუსულ და ინგლისურ ენებზეც გამოვიდა და მისი პრეზენტაცია ახლა უკვე 2012 წლის მაისში გაიმართა ანაკლიაში „ჩერქეზული დღეების“ ფარგლებში. სწორედ მაშინ გაიხსნა ანაკლიაში ჩერქეზი ხალხის გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მონუმენტი.

„ლიტერამ“ გამოსაცემად მოამზადა ასევე



მთიელები სოფელს ტოვებენ. პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ნახატი.

ფრაგმენტები ბეჟან ხორავას წიგნიდან „ჩერქეზები – ბრძოლა თავისუფლებისათვის“

ჩერქეზთა მეჯლისი

რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ კავკასიის მთიელთა გაერთიანების იდეა დიდი ხანია არსებობდა, თუმცა მისი ხორცშესხმა რთული აღმოჩნდა. 1841 წელს უზიხებმა, შაფსულებმა, ნათხვაჯებმა და აბაძეხებმა შეთანხმება დადეს, რომლის მიხედვითაც, ვალდებულება აიღეს, საგარეო საფრთხის დროს ერთმანეთს დახმარებოდნენ. და ასეც ხდებოდა, თუმცა უფრო მტკიცე გაერთიანების საჭიროება ნათელი იყო.

1861 წლის ივნისში მდინარე სოჩას ხეობაში უზიხების ინიციატივით შეიკრიბნენ დასავლეთ კავკასიის მთიელ ხალხთა წარმომადგენლები. მათ გადაწყვიტეს, შეექმნათ მტკიცე კავშირი, ხოლო მისი მართვისათვის აირჩიეს 15 უღელმისაგან შემდგარი საბჭო, რომელსაც მეჯლისი ეწოდა. გარეგნულად ეს ორგანიზაცია მიამატის სისტემას ჰგავდა, მაგრამ მკვეთრად გამოხატული თეოკრატიული ხასიათი არ გააჩნდა. მთიელები ოსმალეთისა და ინგლისის დახმარებას ეძიებდნენ. აგვისტოში უზიხების წინამძღოლმა კერანტუხ ბარზეგმა და იზმაილ ბარაყაი-იფა ძი-აშმა წერლით მიმართეს სოხუმში ინგლისის კონსულს დიქსონს,

ეცნობებინა თავისი მთავრობისათვის რუსეთის ჯარის ჩერქეზთა წინააღმდეგ მიმართული აგრესიის შესახებ და გამოსარჩევა ითხოვეს. თუმცა ამ მცდელობას მთიელებისათვის რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

ალექსანდრე II-ის ჩამოსვლა კავკასიაში

1861 წლის სექტემბერში იმპერატორი ალექსანდრე II კავკასიაში ჩამოვიდა. 18 სექტემბერს მამრია-კოგოში მთიელების დეპუტაცია ჰაჯი კერანტუხ ბარზეგის მეთაურობით იმპერატორს შეხვდა. მთიელთა დელეგაციამ ითხოვა, რუსეთის ჯარის ნაწილებს შეენეციათ მათი მიწების დაპყრობა და სტანიცებითა და სიმბარეებით დაკავება, არ გადაეწვათ აულები და შეენეციათ საომარი მოქმედებები. სანაცვლოდ, ისინი პირობას დებდნენ, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდოდნენ. იმპერატორის პასუხი მოკლე იყო: მთიელები გადასახლებულიყვნენ იქ, სადაც მიუთითებდნენ ან ოსმალეთში ნასულებიყვნენ.

დახმარების ძიებაში

1862 წელს მეჯლისის დეპუტაცია იზმაილ ბარაყაი-იფა ძი-შის მეთაურობით, დახმარების თხოვნით სტამბულსა და ევრო-

პის რამდენიმე სახელმწიფოს დედაქალაქს ეწვია. 1862 წლის მიწურულს მთიელთა დეპუტაცია პოლონელ რევოლუციონერთან, დასავლეთ კავკასიის მთიელების გვერდით მებრძოლ პოლონელებს თეოფილ ლაპინსკისთან ერთად ლონდონში ინგლისის პრემიერ-მინისტრს ლორდ პალმერსტონს წარუდგა და რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. პალმერსტონი კარგად ხედავდა, რომ კავკასიაში რუსეთის შეჩერება შეუძლებელი იყო, ამიტომ დეპუტაციას დახმარებაზე უარი უთხრა. ამდენად, მეჯლისის დეპუტაციის ვიზიტი ოსმალეთსა და ევროპის ქვეყნებში უშედეგოდ დამთავრდა.

გამგზავრების მოლოდინში

ჩერქეზთა გადასახლებიდან დიდი ხნის შემდეგ, 1929 წლის გაზაფხულზე, ცნობილ ქართველ ისტორიკოსსა და ენათმეცნიერს, ს. ჯანაშიას, ადილეთი სამეცნიერო ექსპედიციისას ჯუბილი 91 წლის მოხუცი მოუყვა: „7 წელიწადი ეყარა ადამიანის ძვლები ზღვის ნაპირას. მამაკაცის წვერისა და ქალების თმისგან ყვავები ბუდეს იკეთებდნენ. 7 წელი ზღვა ადამიანის თავის ქალას საზამთროსავით ისროდა ნაპირზე. მტერს არ ვუსურვებ იმის ნახვას, რაც მე ვნახე“.

„საგალობლები უფლისთვის“

ასე ჰქვია **გენო კალანდიას** ახალ პოეტურ კრებულს, რომელიც რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტის შემოქმედებაში სრულიად ახალ მწვერვალს, „სიმაღლით წარმოჩენილ ახალ სიმაღლეს“ წარმოადგენს.

როგორც კრებულის სათაურიდანვე ხდება საცნაური, ეს არის „ციკლი საგალობლებისა“, რომელთა „ფენომენოლოგია უმარტივესად სრულია, უბრალოებით დახვეწილი, სისადავით შემკობილი და სინაზიებით ამალვებული“.

...„ამ საგალობელთა ციკლით“ გენო კალანდია წარმოჩინდა (მართლაც) მაღალი ნიშნის პოეტად. თუმცა ეს პატივი არც ადრე აკლდა, მაგრამ სულ სხვა სიმაღლით ახალი სიმაღლის წარმოჩენა.

...ყველა სტრიქონში ერთდროულად იკითხება სინანულიც და სიხარულიც, ღირსებით სია-

მაყე და ქართველბრივი გულისტკივილი. და ის არამარტო უფალს, მკითხველსაც, მსმენელსაც აბარებს აღსარებას, მაგრამ არ ღალატობს სინაზიას, უშუალობას, უანგარობას.

...კითხულობ ღვთისადმი აღვლენილ ამ საგალობლებს და ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს თითოეული ლექსი - თითო საფეხურია იმ კიბისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ზე-ცისკენ, ზემიღმიერისკენ მიემართება.

...თითოეული ლექსი - თითო აღსარებაა, სავედრებელი და საგოდებელი და ყველგან მამულის ხატი ჩნდება და ანათებს. იქნებ სწორედ ამგვარი პოეზიით იქმნებოდა და იქმნება სამშობლოს ხატი.


...გენო კალანდიამ შემოგვთავაზა ორსტროფიანი-ათმარცვლელი საგალობლები, მაგრამ იგი აღიქმება როგორც ერთი მთლიანობა, ერთი დას-

რულებული ცხოვრებისეული პოემა - უახლოესი და მისთვის ძვირფასი პიროვნებებით, ვინც კვალი დაამჩნია მისი ცხოვრების შინაარსს.

...უფალი ღმერთია და ერთადერთი ყველა მოწესე-მორწმუნეთათვის, ეს წიგნიც - „საგალობელნი უფლისათვის“ ყველა მოწესე-მორწმუნის კუთვნილებაა და საკუთრებაა. ასეთი წიგნები კი იშვიათნი და გამორჩეულნი ხდებიან ყველა დროისათვის, ყოველი ოჯახისთვის, თითოეული მკითხველისათვის“, - ნათქვამია წიგნის ბოლოსიტყვაობაში, რომლის ავტორიც გახლავთ **თემურ შაველაძე**.

წიგნის არაჩვეულებრივი მხატვრობა ეკუთვნის **გოგი წერეთელს**

გთავაზობთ რამდენიმე საგალობელს წიგნიდან.



†

უფალო, წმინდა სამების ტაძარს ჩქამჩაკრეფილთა ატყვია გარჯა და ცისარტყელა, ვით უცხო ანძა, ჰგავს შემოდგომის მენამულ მარჯანს.

თოვლში, წყაროზე ამოსულ ყვავილს ჰგავს ეს ტაძარი - ღვთიური ამბრით... ღმერთო, მიშველე, ღატაკს და დევნილს და მარად მდიდარს სიტყვით და მაღლით.

†

უფალო, წვიმა მოვიდა შაბათს, გაბრწყინდა მაყვლის ბალი და ეზო, ვკითხულობ წმინდა სამების ამბავს, სულ მიზეზ-მიზეზ და უმიზეზოდ.

პური და თაფლი ანათებს ტაბლას, როგორც ჯეჯილი ბეთლემის აღმართს, მგონია, ცაში ავდივარ, მაღლა, როცა ვკითხულობ მარკოზის აღთქმას.

†

უფალო, ხოხბის ყელივით ბზინავს ძველი არმაზი და მცხეთის ჯვარი, აქ მეფეთ-მეფეს და რაინდს სძინავს თებეს ნაკვერი ხმლითა და ფარით.

სულ ბილიკ - ბილიკ იარა თმენით, არ გადაჰყრია გულიდან ჯვარი, აქ განისვენებს ის დიდი ბრძენი, აგერ არმაზი და აგერ ჯვარი.

†

უფალო, თოვლი მოსულა ღამით, რა სიმშვიდეა, რა სილამაზე! თითქო ათასი ციმციმებს კვარი, - შენგან, ო, შენგან გაკვალულ გზაზე.

ისეთი მზე და გარემო სუფევს, ისეთი მნათი ანათებს საყდარს, თითქო იები მოგართევს წუხელ წმინდა მამებმა სიონის კართან.

†

უფალო, კაცი მოგვიკვდა წუხელ, დიდი წვალებით გავიდა გაღმა... მხარი უცვლია მწუხარე სოფელს და პროცესია მიჰყვება აღმართს.

მონაზვნებით დგანან საყდართან, გზისპირ, ტანთხელი კვიპაროსები... და მესაფლავე ბედის კარნახით მინას ასწორებს შარვლის ტოტებით.

†

უფალო, ვზივარ არმაზის კართან უხმო, უხამლო, სახენაშლილი... აქ უტირია ლევან გოთუას მრავალტანჯული დიდი ბავშვივით.

ვეფხვივით ბრტყელი ბეჭები ჰქონდა, მკერდი უგავდა პიტალო კედელს, ისიც ჩემსავით იტანჯებოდა, როცა ფიქრობდა სამშობლოს ბედზე.

†

უფალო, ისე ლამაზად ბარდნის, ისე ქათქათებს ალუბლის ბალი, თითქო ვილაცა კარიკარ დადის თოვლის კალაბით და თოვლის ქაღლით.



ათოვს სიყვარულს და თოვლის კარავს, ათოვს მშობლიურ გზებს და ლელიანს, თოთქო დილიდან ვარდებში წვანან დანიის პრინცი და ოფელია.

†

უფალო, გარეთ ყინავს და ცივა, მე აქ, - საყდარში ლოცვებით ვთბები, შემომეჩვია ფიქრი და ცრემლი, ვით იდუმალი ფერი და ხმები.

გარეთ არავინ მიხმობს და მიცდის მარად ტანჯულს და სასონარკვეთილს, მე იქ, - საკენში ველოდი სიკვდილს, მაგრამ გადავრჩი შენი წყალობით.

†

უფალო, ტაძრის ეზოში ვზივარ, - მე ძველი ბარდი და მღვდელი სოფლის, ჰგავს ვარდის ბალი ქალწულის სიზმარს, ძიძის კეთილი ხელით მოქსოვილს.

ხე და ჩიტები გალობენ ერთად და აღვიძებენ მძინარე სოფელს, აქ რომ ბედურა დაფრინავს მინდვრად, ჰგავს შავი ფრაკით ფრედერიკ შოპენს.

†

უფალო, მთვარე მოადგა საყდარს, შემოანათა მთავარი კარით, ასეთი შვება, ასეთი განცდა ჯერ არ მქონია არც ერთი წამით.

გარეთ ვარდივით შრიალებს დაფნა, თითქო მაცხოვრის ღუღუნებს მტრედი, ავდგები, გავშლი ადამის ოთხთავს და აღსარებას თავიდან გეტყვი.

†

უფალო, მარტო ვიარე ტყე - ტყე, ყულანურებაში ჩავედი ფეხით... იზაბელას და კაჭიჭის მეტრფე ვენახს ფურჩნიდა აფხაზი გლეხი.

მომიახლოვდა... გამეცნო რიდით, ადრეც ერთმანეთს ვხვდებოდით თითქო, გამომეღვიძა... და უმაღ მივხვდი, ეს ყველაფერი სიზმარი იყო.

†

უფალო, ცრემლი მისველებს თვალებს, ყოველდღე დარდით, ნალგელით ვკვდები... მომავგონდება ერცახუს მთვარე, ერკემლები და კაჭიჭის ჩხები.

დილიდან ვერცხლის ჩანჩქერთან ვზივარ მე და ოცი წლის ანტიცა სმირი... გამასენდება ბზიფი და რინა და ღამდამობით ბალღივით ვტირი.



†

სათუნა ჭურღულისას ხსოვნას

უფალო, მინდვრის გვირილას ჰგავდა, ჩამავალი მზის ნათელით დაღლილს, ის მიყვებოდა რუსთაველის გამზირს ზღვის ყვავილივით პატარა ჩანთით.

წავიდა, გაქრა, გაუჩინარდა, - ბედდანყევლილი დაია ჩემი, ის ზემო ბზიფის გვირილას ჰგავდა ფიქრით, ოცნებით და გულისცემით.

†

ივანე თარბას ხსოვნას

უფალო, ჩემი ძუძუმტე იყო ერთი აფხაზი, ლამაზი კაცი, ღვთის მსახურივით აფრქვევდა სიტბოს მარცხნიდან მარჯვნივ, მარჯვნიდან მარცხნივ.

ნოდარ დუმბაძის გვერდით სახლობდა, ჰყავდა პატარა ლეკვი და პონი, ის რომ აფხაზურ მოტივს ამბობდა, მეკეტებოდა ჭკუა და გონი.

†

ჯუმა ახუბას

უფალო, ჯუმა ახუბა მახსოვს, - მისი ლამაზი ბლუზა და კვარტი, მისი ჭაჭა და ჩხავერი მახსოვს გაზაფხული ილორის თაფლით.

ერთად ვისხედით ჩიქვანის ნავში, ერთად ვეძებდით ქვიშაში ოქროს... ტამიმთან მხარზე შეგვახტა ეშმა, გზა გახდა უნდო და ოკრო-ბოკრო.

†

უფალო, რუხის მარჯვენა კედელს ახლაც ატყვია ნახმლევი თურჯის, საბერიოსთან, მიმინოს ქედზე, ცაა ურჯულოს სისხლივით მუქი.

თითქო გიშერთი შენამლეს მთები საღამოს მზემ და სათანჯოს მთვარემ, ვზივარ... ვიგონებ გალობას დების და ფართოდ ვაღებ ეკვდერის კარებს.

†

რენეს

უფალო, რენე გავიდა გაღმა, მაცხოვრის კართან დაიდო ბინა და, როგორც ერთგულ ყმასა და რაინდს, ქალაქის წმინდა კედელთან სძინავს.

მწირის, ყარბის შვენოდა ქუდი და რაღაც დიადს ჭვრეტდა ჩვენს იქით... ნატვრისთვალივით დაჰქონდა უბით ოდიშს ნაპოვნი იობის წიგნი.

†

უფალო, მშვიდად ვაპირებ სიკვდილს, ყოველდღე ველი პირუთვნელ მსაჯულს, აი, ეს ლექსი, აი, ეს წიგნიც, მოდი, უფალო, პირდაპირ საჯე!


ჩემი გზა, ჩემი ფიქრი და ყოფა, - არის მაშველის ნავი და აფრა, მიიღე ჩემი ლექსების კონა, ვით საკალანდო სურო და დაფნა.



აფხაზეთის შემოქმედებით ინტელიგენციას, აფხაზეთში დაბრუნებაზე მეოცნებე ადამიანთა რიგებს ცნობილი პოეტი და მთარგმნელი რენე კალანდია გამოაკლდა. რენე კალანდია სოხუმელი გახლდათ და მის პოეზიაშიც ერთ-ერთი მთავარი აფხაზეთის თემატიკა იყო.

პოეტის პირველი კრებული სახელწოდებით „სოვნის ყვავილები“ აფხაზეთში ჯერ კიდევ 1972 წელს დაიბეჭდა. შემდეგ იყო არაერთი საინტერესო და ორიგინალური პოეტური კრებული. რენე კალანდიას ლექსები მსოფლიოს სხვადასხვა ენაზეა თარგმნილი და ამდენად, მის შემოქმედებას კარგად იცნობდნენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც.

რენე კალანდიას გარდაცვალებით გამოწვეული გულისტკივილი უამრავმა ადამიანმა გამოხატა, ჩვენ მის მცირე ნაწილს გაგიზიარებთ.



საით მიდიან დიდი ადამიანები?

სად იყრიან თავს სიტყვის მაგიას შეწირულები?

იქ იყო, ზუგდიდში, თავის საგვარეულო ბიბლიოთეკაში ჩაკეტილი. აღარ გამოდიოდა, თუმცა, არც არასოდეს ჰყვარებია „საჩინო“ ადგილზე ყოფნა. ყოველთვის დროის გარეშე იცხოვრა. დროის და პირობითობების გარეშე. იმ უამრავ გაყვითლებულ ქაღალდებს ჰგავდა, რომლებსაც წლები აგროვებდა და რომელთა გამხმარი ყვავილების სუნი ასე ძალიან მაგონებს მის ერთადერთ წუხილს – სიტყვაზე წუხილს. ბაბუას სახლში მისი ადრეული ახალგაზრდობის სურათი ეკიდა: მეზღვაურის ყელსახვევი უკეთია, ჩამოთლილი, შეუდარებელი პრიფილით დგას და სიგარეტს ფიქრინად ეწევა. ლამაზია.

ეს კი, ალბათ, მისი ყველაზე სიმბოლური ფოტოა. ასე იცხოვრა მშობლების დამწვარი სახლის ფერფლში - ფიქრინად, უსასრულობას მიბჯენილი თვალებით. წლებია აღარ მინახავს. ტელეფონით ვსაუბრობდით. გოლიათის ხმა ჰქონდა – მაღალი და მთრთოლვარე.

იქ იყო, ზუგდიდში. დაუძლურებული, უღონი, მაგრამ ყველას გვამაგრებდა, როგორც მითი, როგორ ჩვენი საყვარელი ლეგენდა... რენე წავიდა...

ლანა კალანდია

რენე

არიან ლამაზი მიცვალებულები – არანაირი მაკიაჟი და ბალზამი, შუბლი, როგორც ღუზა, მძიმე ჯაჭვით ლაჟვარდოვანი ხომალდებისკენ, წვერი – გამარგლული მინა – ჩათესავ სიმინდს და ამოვა.

ასე იწვა რენე – პირით ვლაქერნის ღვთისმშობლისკენ და ღვთისმშობელი იყო მწუხარე, ჯვარცმის დღეზე მეტად მწუხარე და „გიხაროდენ, მიმადლებულ მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა...“ და კიდევ რამდენ შვილს გაგიკრავენ ჯვარზე!..

ასე იწვა რენე და ვიფიქრე: ჩაიცვამდა ამ პიჯაკს თუ არა? წაიღებდა ბერეტს თუ არა? შემნიშნავდა გზაზე თუ არა?..

და გზა იყო ჩხრიალა ასპიტის მსგავსი და ჩირალდნები – აჯაგრული ხორკლი!

.....

არიან მშვიდი მიცვალებულები – ვითომ არაფერი მომხდარა, ოფლი შეიმრეს და დანგნენ...

რობერტ მესხი

ელგუჯა მარლია

ქართული სულიერებითა და შემართებით სავსენი

ნონა ზონია,

გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო და სახელოვნებო სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების ჯერაც დანარჩენი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ორგანულ ნაწილად ყოფნა გალის რესურსცენტრის გუნდური მუშაობის შედეგია. ეს ურთიერთობა კი გულისხმობს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მზადებას; აბიტურიენტთა და პედაგოგთა შეხვედრებს ეროვნული გამოცდების ცენტრთან თუ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან; შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით აბიტურიენტთა უფასო მოსამზადებელი ცენტრების შექმნას; სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგების გადამზადებას; წარჩინებული მოსწავლეების ოქროსა და ვერცხლის მედლებზე წარდგენას და მათი დაჯილდოების ცერემონიალის გამართვას; საქართველოს განათლებისა და მეც-

ნიერების და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროების პროგრამებში და პროექტებში მასწავლებელთა და მოსწავლეთა ჩართულობას და ა. შ. შესაბამისად, ოკუპირებული ტერიტორიიდან გამომხაურებაც დიდია. ერთ დამახილზე უამრავი მოზარდი, მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად გადმოდის ენგურს აქეთ და განსაკუთრებულ ნიჭიერებასა და შრომისმოყვარეობას ავლენს.

ახლახან გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა კიდევ ერთი საინტერესო პროექტი „ნორჩი ხელოვანები მშვიდობისათვის“ განახორციელა. ამ პროექტის ფარგლებში გალის რაიონის სამხატვრო სკოლის ნორჩმა მხატვრებმა 50-ზე მეტი ნახატი წარმოადგინეს, ხოლო მუსიკოს - შემსრულებლებმა კლასიკური ნაწარმოებები და ხალხური სიმღერები.

გამოფენა-კონცერტს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ უმასპინძლა. თეთრ და თეატრალურ დარბაზებში მოზარდები ჭადრაკის დიდოსტატებს ნანა ალექსანდრიასა და დავით გიორგაძეს, „პოინერფილმის“ მემატინეს გრიგოლ ჩიგოგიძეს და სხვა საინ-



ტერესო პიროვნებებს შეხვდნენ და გაესაუბრნენ.

გალელი პატარა ხელოვანების მხარდასაჭერად თეატრალური დარბაზის სცენა სასახლის ანსამბლ „მზიურის“ და ქალაქ თბილისის მერიის სახელოვნებო სკოლა „აფხაზეთი-2“-ის ნორჩმა შემსრულებლებმაც დაამშვენეს. ერთმანეთს ცვლიდა საესტრადა და ფოლკლორული ნაწარმოებები, ქართული და აფხაზური სიმღერები. მოცარტის, ბეთჰოვენის, ბახის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებები.

გამოფენა -კონცერტის დასასრულ ყველა მონაწილე დაჯილდოვდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სიგელებით, სპეციალური და მხატვრული ლიტერატურით, საკანცელარიო ნივთებით. კომპანია „ბარამბომ“ ბავშვებს ტკბილეული გამოუგზავნა.

არანაკლებ საინტერესოდ გაატარეს გალელმა ნორჩმა ხელოვანებმა მეორე დღე ჯერ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სადაც იქ დაცული უამრავი უძველესი ქართული ხელნაწერი დაათვალიერეს და მერე ქართული ანბანით, ბლოკნოტებით, კალენდრებით... დასაჩუქრებულები საგურამოში

ზეციური ძროხის მწყემსი

(სიურეალისტური შეხმანება რენე კალანდიას)

„თავთ ღვინის ქუდი მეხურა,
ტანთ მეცვა არყის ჩოხა...
ახლა აქ ვწევარ მეფურად,
და ვაბალახებ ძროხას...“

რენე კალანდიას ეპიტაფია

სხვა იყავი... დოქის თიხად
უნდა იქცე... იცი რენე...
იცი... განა არიფი ხარ,
რაც იქნება ამის მერეც...
სხვა იყავი... ჰან ფოკივით
მთა და ბარი გადასერე...
მაინც თუ ხარ კმაყოფილი,
რაც წერე და რაც იმღერე...
სრულყოფილი სიტყვის ოსტატს,
შენც შეგირდად მიებარე...
და მასავით აღარ ჩანხარ,
ბამბუკის ქოხს მიეფარე...
უკრავ ბარბიტს, უკრავ ციტრას,
მონუსხულა არე-მარე...
წინ სხვა ვარსკვლავები მოჩანს,
სხვა მდინარე, ასე მწვანე...
მინის მტვერი მოიცილე,
რაც გტანჯეს და გითვალთვალეს...
ღრუბელ-ღრუბელ ისეირნე,
გიცდის შენი მზე და მთვარე...
რა ტალახი აღარ ზილე,
წუთისოფლად რა არ ნახე...
ყველა ზღვარიც ნაშლედ და
სულიც მეტად გააღალე...
ახლა ჩუმად გადასცქერი,
სხვა სივრცეს და სხვა სანახებს...
აწი ზეციური ძროხა,
ცის მინდვრებში აბალახე...



აფხაზეთი 1900–1921 წლების ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე

მაია შონია

XIX - XX საუკუნის ქართული პერიოდული პრესა სავესტა უმნიშვნელოვანესი მასალებით, რომლებიც იმ პერიოდის საქართველოს, მისი ყველა კუთხის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, რელიგიური თუ სოციალური ცხოვრების ნათელ სურათს ქმნის. პროფესორმა ირაკლი გელენავამ ამ ზღვა მასალის ერთ ნაწილს - 1900-1921 წლების ქართულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ აფხაზეთის საზოგადოებრივი ცხოვრების (რელიგია, განათლება, კულტურა) ამსახველ პუბლიკაციებს მოუყარა თავი და ერთ წიგნად გამოსცა.



წიგნი ასევე მოიცავს აფხაზეთის პოლიტიკური (კოლონიზაცია/ოკუპაციის), სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის, მედიცინის, აფხაზეთში მოქმედი საზოგადოებრივი გაერთიანებების და სხვა საკითხებს. „ქართული პერიოდული პრესის მასალები 1900-1921 წლები (აფხაზეთი - რელიგია, განათლება, კულტურა)“ ასე ჰქვია ამ კრებულს, რომელიც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ გამოსცა. წიგნის გამოცემით ხელი შეეწყო 1900-1921 წლების აფხაზეთში განათლებისა და კულტურის ისტორიის კვლევის გაძლიერებას, მთელი რიგი ისტორიული მომენტების ობიექტურად შესწავლასა და დაზუსტებას. მეცნიერულ ბრუნვაში შემოვა ასობით ახალი დოკუმენტი/პირველწყარო. წიგნის პრეზენტაცია ახლახან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო განყოფილებაში გაიმართა.

მოფენო დარბაზში გაიმართა. კრებულის მკითხველთათვის წარდგენას აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები, ისტორიკოსები, სხვა დარგის მეცნიერები საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრას წარმართავდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი. განეული შრომისა და წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ.

„ამ სახით ეს დოკუმენტები პირველად გამოიცა. წიგნში შესულია ახალი და მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ გამოუკვლეველი ასეულობით მასალა, რაც ამ გამოცემას უნიკალურს ხდის. კრებული 12-წლიანი მუშაობის შედეგია და ის თავს უყრის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიისა და ხელუხლებელ ფონდებში დაცული პერიოდული პრესიდან ამოკრებილ მასალებს. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებით მომუშავე მკვლევარებისთვის. მასალა საინტერესოა სტუდენტებისა და მაღალი კლასის მოსწავლეებისთვისაც. ისინი ამ წიგნის გაცნობით ბევრად მეტ ინფორმაციას მიიღებენ აფხაზეთზე, ვიდრე აქამდე ჰქონდათ,“ - განაცხადა კრებულის შემდგენელმა ირაკლი გელენავამ.

პრეზენტაციაზე ყველა გამომსვლელი ერთხმად აღნიშნავდა, რომ წიგნი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, პოლიტოლოგებს, კონფლიქტოლოგებს და ზოგადად, აფხაზეთის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებსა და სტუდენტებს.

წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯონი აფაქიძემ. მისი თქმით: „სტუდენტებისთვის და მეცნიერებისთვის ეს წიგნი დიდი შენაძენია, რისთვისაც მადლობა ამ მასალების მომძიებელსა და გამომცემლებს“.

ისტორიკოს ჯემალ გამახარიას შეფასებით, „წიგნი აფხაზეთის შესახებ უმნიშვნელოვანეს მასალებს მოიცავს. ათობით და ასობით გაზეთი უნდა გადაათვალიერო და ნაიკითხო, რომ ეს მა-



სალა მოიპოვო. ტიტანური შრომაა განეული. ამ წიგნს ენგურს გაღმაც დიდი ფასი ექნება“.

ისტორიკოს ბორის კვარაცხელიას აზრით, „ეს არის აფხაზეთის ისტორია, აფხაზეთის ცოცხალი მატთანე. ქართული პერიოდიკის ეს ნაწილი უმნიშვნელოვანესი მასალაა მკვლევარებისთვის. ძალიან ბევრი მტვერი უნდა ყლაპო, რომ ასეთი მასალა შეაგროვო.“

სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ზურაბ პაპასქირი: „აფხაზეთის შესახებ პრესაში დიდი მასალაა. ეს მასალა გაბნეულია არა მხოლოდ ქართულ, არამედ კავკასიურ და რუსულ პრესაში. ამდენად მათი შეკრების დაწყება აფხაზეთმცოდნეობას კიდევ უფრო წინ წასწევს.“

ითქვამს, რომ წიგნი გადაეცემა ყველა მსხვილ წიგნსაცავს და საგანმანათლებლო-კვლევით დაწესებულებებს, ასევე აფხაზეთის საჯარო სკოლებისა და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლების ბიბლიოთეკებს.

„შვილებმა უნდა იცოდნენ, სად გაჩაღდნენ მამები“

ივნა ბაბუნია

„აფხაზეთის მოზარდთა კონფერენცია“ – აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ტრადიციული და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია. კონფერენციის თემატიკა ყოველწლიურად იცვლება, წელს კი ის საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა.

პატრიოტიზმისა და ტოლერანტობის გაღვივება, მოზარდებში ისტორიულ დოკუმენტებზე მუშაობისა და კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების აღმოჩენა-განვითარება ამ პროექტის უმთავრესი მიზანია.

წლეულს კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად აფხაზეთიდან დევნილმა 23-მა ახალგაზრდამ წარმოადგინა თავისი ნამუშევარი, მათგან 6 ნამუშევრის ავტორები გალის ოკუპირებული ტერიტორიის მოსწავლეები იყვნენ.

კონფერენცია გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. კონფერენციას ესწრებოდნენ: აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი – დიმიტრი ჯაიანი; აკადემიკოსი – ავთანდილ არაბული; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – ალექსანდრე დაუშვილი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი – ედიშერ გვენეტაძე; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები – ზურაბ პაპასქირი და თეიმურაზ გვანცელაძე; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია და სხვ.

მონაწილეებს სიტყვით მიმართა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა: „მოგესალმებით, ჩემო ახალგაზრდებო, დიდი სიყვარულით. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ამ კონფერენციის ორგანიზატორებს, პროგრამებისა და საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსს ირაკლი გელენავას და მასპინძლებს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. აღსანიშნავია, რომ ასეთი დიდი ყურადღება ექცევა აფხაზეთის თემატიკას, დღეს აფხაზეთიდან გადმოსული ბავშვები, პედაგოგები და დედები არიან გვირგვინი, დარწმუნებული ვარ, საქართველოში დადგება ის დრო, როდესაც ყველა აღიარებს მათ გმირობას“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით მოზარდებს აკადემიკოსი ავთანდილ არაბული მიესალმა: „ეს დღე ბავშვე-

ბო, თქვენს ბიოგრაფიაში სამუდამოდ ჩაინერგება ოქროს ასობით. მადლობა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, რომელმაც ყველანი კიდევ ერთხელ მიგვახება ჩვენი ისტორიისაკენ, იმ საფუძვლებისაკენ, რომელიც ძირითადი გარანტიაა ჩვენი დამოუკიდებლობის, ჩვენი სახელმწიფოებრივი მთლიანობის და ჩვენი განვითარების“.

კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა აკადემიკოსმა ნანა ხაზარაძემ: „ჩემთვის სიხარულისა და სევდის დღეა. ის, რაც ხდება ჩვენ ქვეყანაში, ის, რაც ხდება აფხაზეთში, ის, რაც ხდება გალის რაიონში, არ შეიძლება ყოველი ჩვენგანისთვის არ იყოს სევდის მომგვრელი, მაგრამ ამავე დროს სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დღეს, აქ თავმოყრილნი არიან ნორჩი ისტორიკოსები. გავისსენებ ილიას სიტყვებს „შვილებმა უნდა იცოდნენ, სად გაჩერდნენ მამები“; – სწორედ ამას აკეთებენ ეს მოზარდები, ისინი ცდილობენ გაიგონ, სად გაჩერდნენ მამები, ჩვენი წინაპრები რომლებმაც ძალიან მძიმე ისტორია გამოიარეს და საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ქვეყანა შემოინახეს“.

კონფერენციას უძღვებოდა სამინისტროს პროგრამებისა და საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი ირაკლი გელენავა.

კონფერენციის ნორჩი მომსახერებლები იყვნენ: სალომე თავზარაშვილი – „დავით აღმაშენებელი“, (ქ. თბილისის №1 კლასიკური გიმნაზია, XI კლასი); ანა სილაგავა – „ქართველთა დაცემა და ამაღლება – ცოტენ დადიანი“, (ვოვა ვეკუას სახ. აფხაზეთის №3 საჯარო სკოლა, VIII კლასი); ანა ჩომაწია – „გეორგიევსკის ტრაქტატის დადების მიზეზები“, (ქ. თბილისის №20 საჯარო სკოლა, X კლასი); ლუკა ფოფხაძე – „გეორგიევსკის ტრაქტატი და საქართველო“, (ქ. თბილისის №51 საჯარო სკოლა, VI კლასი); მეგი ჯალაღონია – „გზანი წამებისანი“ ანუ ქართულ-რუსული ურთიერთობანი გეორგიევსკის ტრაქტატიდან 2008 წლის 8 აგვისტომდე“, (აფხაზეთის №11 საჯარო სკოლა, XI კლასი); ალექო კვამილაძე – „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი“, (ქ. გალის №2 საშუალო სკოლა, IX კლასი); თათული ბუთბაია – „ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი“, (ზემო-ბარლების საშუალო სკოლა, X კლასი); გივი ღვინჯილია – „გზა დამოუკიდებლობისაკენ“, (ი. ვეკუას სახ. №42 საჯარო სკოლა, VIII კლასი); დანი ჩიტია – „აფხაზეთის სტატუსი საქართვე-



ვლოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, (ქ. თბილისის №52 საჯარო სკოლა, IX კლასი); გოგა ქათალანძე – „მერაბ კოსტავა თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი“, (ქ. გალის №2 საშუალო სკოლა, X კლასი); გიორგი ქვარცხავა – „საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობა“, (აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა, XI კლასი); გიორგი ინჯგია – „26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე“, (თ. ბოკუჩავას სახ. №7 საჯარო სკოლა, IX კლასი); ნათია ფანცულაია – „26 მაისი-საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“, (ქ. თბილისის №83 საჯარო სკოლა, VIII კლასი); მარიამ კვირკვია – „სიკვდილამდე თავისუფლებისთვის“, (საბერიოს №2 საშუალო სკოლა, XI კლასი); მარიამ მესხია – „26 მაისი“, (საბერიოს №2 საშუალო სკოლა, XI კლასი).

მოსხენებების დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, სიტყვით გამოვიდნენ: აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ზელა კოპალაიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ედიშერ გვენეტაძე, სოხუმის სახელმ-

წიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერი, პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე.

კონფერენციის მონაწილეები დაჯილდოვდნენ შესაბამისი სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელით მოზარდებს გადაეცათ ელენე მაჭავარიანის წიგნი – „ქართული ხელნაწერების ისტორია“, ნანა ხაზარაძის წიგნი – „კავკასიურ-ალმოსავლური სამყარო“ და ნიკოკას ვიტსენის გახმაურებული წიგნის – „ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარი“ – ქართული თარგმანი.

ეს დღე თითოეული ახალგაზრდისათვის დაუვინყარი დარჩება, რადგან მათ თავიანთი, ბევრისათვის, ალბათ, პირველი ნაშრომი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, ამ ისტორიულ შენობაში წარმოადგინეს...

მოზარდების ამ ოცნების განხორციელებისთვის კი განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის: აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს, აკადემიის ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის კომისიის ხელმძღვანელს, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს, პროფესორ ალექსანდრე დაუშვილს.

მხოლოდ ერთხელ მოდის?..

იოსებ ჯაფარიძე

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. პრემიერა. ლაშა ბულაძე. „ნავიგატორი.“
თეატრი – ძველი. 130 წლის. სახელოვანი. დიდი ტრადიციების. ამჟამად დევნილი...
სამხატვრო ხელმძღვანელი – ახალი. საკმაოდ ახალგაზრდა. საკმაოდ გამოცდილიც. ელიტური თეატრის ხელმძღვანელობიდან უცნაურად გათავისუფლებული. რუსთაველის თეატრის დირექტორობაზე უარნათქვამი. დიმიტრი ჯაიანის მონადინებით, სოხუმის თეატრის საჭესთან დამდგარი. ორივე მხრიდან სწორი გადაწყვეტილება.



საიდან იწყება თეატრი?

ტრადიციული შეხედულებით, გარდერობიდან.

ჩემი აზრით კი – პროგრამიდან. პროგრამას უკვე დასტყობია ახალი სამხატვრო ხელმძღვანლის გემოვნება: ის მეტად მიმზიდველია ფორმითაც და შინაარსითაც. მხოლოდ აუცილებელი ინფორმაციითა და სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა პორტრეტებით, მდიდრულ ფოტოსურათებზე რომ გაერთიანდებიან.

ეს – „შიგთავის“, გარე გვერდებს კი ორი მეტყველი ფოტო ამშვენებს – ქალისა და მამაკაცის „გაჩერებული“ ნაბიჯები, რაც სპექტაკლის არსზე მიგვანიშნებს, ოღონდ, ამას წარმოდგენის ბოლოს მივხვდებით...

ვინ არის თეატრში მთავარი?

ერთხელ მიხილ თუმანიშვილს უთქვამს კიტა ბუაჩიძისათვის – გვიან დავრწმუნდი, რომ თეატრში მთავარი დრამატურგიაო.

უფრო ზუსტად, ამას განაწყენებული დრამატურგი რეჟისორს ღია წერილში ახსენებს და იქვე ამასაც დასძენს: „არ ვიცი, გასოვს თუ არა და ვაითუ, ახლა უარზე დადგე“...

ისე, ცოტა საეჭვო კია, მიხილ თუმანიშვილს ასეთი რამ ეთქვას...

დავით საყვარელიძე მიხილ თუმანიშვილის მოწაფეა და, ალბათ, სამართლიანად ფიქრობს, რომ თანამედროვე თეატრში მთავარი რეჟისორია.

ასე რომ არ იყოს, მაშინ პროგრამაში არ ჩანერდა: „სპექტაკლის ავტორი დავით საყვარელიძე“. სწორადაც ჩანერა.

და, მაინც, დრამატურგია...

პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე, რეჟისორს ჰკითხეს:

„— ლაშა ბულაძეს უყვარს რეპეტიციებზე დასწრება. თქვენ ასე ბრძოდ გენდოთ?“

რეჟისორის პასუხი:

„— ლაშა ბულაძე უკვე ოთხი თვეა, თბილისში არ იმყოფება. მას არაფერს ვუთხანებ, რადგან ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მის პიესას ვდგამ. შევეცადე, არც ერთი სიტყვა არ შემეცვალა ან ჩამემატებინა. ერთ-ერთი ვარ ტექსტის. თუ არ მოეწონებათ, არ მოეწონებათ და გამლანძღვენ.“

ეს ადვილი მოსალოდნელი იყო, მაგრამ ისეთი სპექტაკლია, რომ შეუძლია, მშვიდად იყოს: გალანძღვით ნამდვილად არ გალანძღავენ.

რისკი უდავოდ გამართლებულია.

რბ რისკი?

როცა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ხდება და პირველი სპექტაკლისთვის ლაშა ბულაძის პიესას ირჩევ, ეს, რა თქმა უნდა, რისკია.

რისკია იმის მიუხედავად, რომ ამ პიესაზე ჯერ ბრიტანელები „გადაირივნენ“, შემდეგ კი პრემია „საბას“ ჟიურის წევრები.

სხვათა შორის, ეს რადიოპიესაა – „ბი-ბი-სი“-სა და ბრიტანეთის საბჭოს მიერ გამართულ რადიოპიესების კონკურსში გამარჯვებული.

აი, იქაური ჟიურის შეფასებაც:

„ჟიური მოხიბლა რეალობისა და აბსურდის ზღვარზე მყოფმა სიუჟეტმა, ადამიანის მარტოობის ტრაგიკომიურმა აღწერამ და პერსონაჟების კარგად გამოკვეთილმა ხასიათებმა.“

რატომ „ნავიგატორი“? – რეჟისორს ესეც ჰკითხეს.

პასუხი:

„ერთმანეთის თანადგომა დავკარგეთ. „ნავიგატორიც“ მარტოობაზეა. ჩვენც ყველანი მარტო ვართ. ყველას გვაკლია მზრუნველობა, სიტბო, სიყვარული“...

ეს ყოველივე რეჟისორმა ლაშა ბულაძის პიესაში აღმოაჩინა. თუმცა აშკარად გრძნობს, რომ ასეთი მტკივნეული და სერიოზული თემის გამოსახატავად, ტრაგიკომედია მაინცდამაინც შესაფერისი ჟანრი არ არის. ამიტომაც შეეცადა, სასცენო სანახაობისათვის დრამატული ელფერის გაძლიერებას. მეტიც, რეჟისორმა აფხაზეთის თემასთან სპექტაკლის დაკავშირებაც სცადა, მაგრამ ეს „ხაზი“ წარმოდგენისთვის ორგანულად ვერ იქცა. სასცენო სანახაობისთვის გაცილებით სიმბოლური აღმოჩნდა პატარა სასტვენისათვის სათამაშო, რომელიც დასაწყისში მთავარ გმირს უჭირავს, ფინალში კი მის მოხუც მამას. ეს უთუოდ იმაზე მინიშნებაა, რომ „თოჯინები ვართ ყველანი.“ უფრო ზუსტად, ერთმანეთის მიმართ ისე გაცვივდით, რომ უსულო თოჯინებს დავემსგავსეთ...

...მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ლაშა ბულაძის პიესის საფუძველზე ვინმეს საეტაპო სპექტაკლი შეექმნას.

დავით საყვარელიძეს, ჩანს, ასეთი განზრახვა არც ჰქონია. სამხატვრო ხელმძღვანელობას ის მშვიდად იწყებს. წარმატებებს, ალბათ, თანდათან შეგვაჩვენებს და ვინ იცის, იქნებ, საეტაპო სპექტაკლმაც არ დაგვიანოს.

ერთი შენიშვნა: პროგრამაში მითითებული არ არის სპექტაკლის მხატვარი. არადა, თუ წარმოდგენაში რამე არ მოგწონს, სწორედ სცენოგრაფია და კოსტიუმები: იქ, სადაც მანქანის საჭესთან ჯდომა მსახიობმა მხოლოდ ხელის მოძრაობით უნდა დაგვაჩვენოს, სადაც ბოლოს და ბოლოს მამაკაცისგან ქალის ხმით მოლაპარაკე ნავიგატორის შეცვარებას გვაჩვენებენ, ასეთი ნატურალისტური დეკორაცია და ჩაცმულობა შეუსაბამოა.



მთავარი მაინც მსახიობია

„ნავიგატორი“ წარმატებულია როგორც საავტორო წარმოდგენა, როგორც რეჟისორული სპექტაკლი და წარმატებულია მსახიობთა საინტერესო თამაშით. ეს, უპირველესად, მთავარი როლის შემსრულებელზე ითქმის. ბადრი ბეგალიშვილი (როსტომი) იშვიათი ბუნებრივობით წარმოაჩენს იმ ადამიანის ბედსა და განცდებს, ვისაც გარშემომყოფთა სიტბო და ყურადღება არ ღირსება და ეს... ნავიგატორმა აგრძნობინა. მართლაც შესაშური ლილი ხერხითის ოსტატობა. მსახიობი სცენაზე კი არა, რამპის ქვემოთ, კუთხეში მიკროფონთან ზის და იქიდან თამაშობს... ნავიგატორის როლს. და თამაშობს ისეთი წრფელი განცდით, რომ ასეთი ნავიგატორი ყველას შეუყვარდება. ამ ორი მსახიობის ბრწყინვალე თამაშმა განსაკუთრებული ემოცია შესძინა „რეალობისა და აბსურდის ზღვარზე მყოფ სიუჟეტს“ და ის, რაც დრამატურგისთვის ტრაგიკომიკურია, სპექტაკლში სევდიანი დრამატიზმით აღსავსე, ამალეღვებულ სანახაობად გადაიქცა.

ორი ასეთი მსახიობი ერთი სპექტაკლისთვის უკვე საკმარისია, თუმცა, რეჟისორის ჩანაფიქრს ღირსეულად მიჰყვებიან და სპექტაკლის საერთო წარმატებას ასევე განსაზღვრავენ სხვა პერსონაჟთა განმასახიერებელი მსახიობები: ნანა ხურთი, იზოლდა ბოკუჩაია, ედემ ხვიჩია, ნიკოლოზ წერედიანი, ბესარიონ ქარჩავა, დავით ბერაძე. ალბათ, უნდა გამოვყოთ ახალგაზრდა გიორგი გასვიანი, რომელიც ახერხებს, ასცდეს ერთგული მეგობრის სცენაზე წარმოსახვის საკმაოდ გავრცელებულ შტამს. განსაკუთრებით დამაჯერებელია იგი ფინალურ სცენაში, დეპრესიაში მყოფი, თვითონაც ნავიგატორს რომ სთხოვს თანაგრძნობას.

მაგრამ „სიყვარული სასახლეში მხოლოდ ერთხელ მოდის“...

არ ვიცი, კიდევ რამდენჯერ დადგამენ სოხუმელთა სცენაზე ლაშა ბულაძის პიესას, ის კი მჯერა, რომ სოხუმის თეატრში წარმატება უამრავჯერ მოვა.

და ბოლოს... სოხუმშიც მოვა.

ჯემალ კასრადის ფოტოები.

მხატვრობით დამოუკიდებელი კლასიკური მუსიკის საღამო

სალომე თორია

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში 11 მაისს კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთგვარი ოჯახური საღამო შედგა. ვოკალისტ (სოპრანო) ქეთევან ცაავა-შენგელიას სოლოკონცერტის დაწყებამდე ამაღლებულ განწყობას ფოიეშივე ქმნიდა მისი მეუღლის, ცნობილი მხატვრის ავთანდილ შენგელიას ნამუშევრების გამოფენა. ფერწერული ტილოებთან ერთად წარმოდგენილი იყო მხატვრის პერსონალური კატალოგი, რომელიც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ გამოსცა.

კლასიკური მუსიკის საღამოს უძღვებოდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საბა მეტრეველი, რომელმაც ვოკალისტის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა ჯერ სოხუმში, დევნილობის შემდეგ კი თბილისში საინტერესოდ გახაზა. როგორც

ნამყვანმა აღნიშნა, ქეთევან ცაავა-შენგელიამ სიმღერისა და გალობის დიდი სკოლა გაიარა სამების საკათედრო ტაძარში, რომელიც დევნილი მომღერლისთვის დიდი სულიერი საყრდენი და ერთგვარი თავშესაფარიც გახდა. საბა მეტრეველმა აღნიშნა, რომ ქეთევან ცაავა-შენგელიას პედაგოგი და სამეცნიერებლო ხელოვნების მაგალითია სამების საკათედრო ტაძრის გუნდის ხელმძღვანელი, მაგალობელი ნაირა ნაჩხატაშვილი, რომლის თანადგომითაც მოეწყო საღამო.

აღსანიშნავია, რომ ქეთევან ცაავა-შენგელია სოლოკონცერტით პირველად წარსდგა მაყურებლის წინაშე და მოკრძალებით თქვა თავისი სათქმელი. მის მიერ საკმაოდ რთული ნაწარმოებების შესრულებაში ნიჭიერებასთან ერთად ნათლად ჩანდა პასუხისმგებლობის გრძნობა მსმენელთა წინაშე.

საკონცერტო პროგრამაში შედიოდა ქართული და უცხოელი კომპოზიტორების ყველასათვის კარგად ცნობილი არიები. ჩაი-

კოვსკის, შუბერტის, ვერდისა და პუჩინის ენაცვლებოდა კვერნაძისა და ლალიძის ნაწარმოებები. მათ შორის კი დიდი სიფაქიზით შეასრულა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ეს „ავე მარია“ და მეგრული ხალხური სიმღერა „ვაგიორქო მა.“ მომღერალს აკომპანირებას უწევდა კონცერტმაისტერი ქეთევან ინანიშვილი.

დარბაზში მონვენულ სტუმართა შორის იყვნენ მუსიკოსები, სასულიერო პირები, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლები და თავად პედაგოგი ნაირა ნაჩხატაშვილი. სწორედ ის იყო განსაკუთრებული გულშემატკივარი და შემფასებელი თავისი მოწაფისა. ის ემოციურად, სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდა მომღერლის თითოეულ გამოსვლას. არც მაყურებელი გახლდათ გულგრილი და მზურვალე აპლოდისმენტებს არ იშურებდა.



ნაირა ნაჩხატაშვილი და ქეთევან ცაავა-შენგელია

აფხაზეთის ჭადრაკის
განვითარებაში შეტანილი
წვლილისთვის



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ გელენავა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სისტემაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის, ახალგაზრდა თაობებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში შეტანილი წვლილისა და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციისათვის“ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ჭადრაკში, აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ გელენავას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი გადაეცა.

„აფხაზეთის ჭადრაკის განვითარების და მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისა და მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციისათვის“ ნოდარ გელენავას ასევე გადაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელი.

სამოყვარულო ლიგის გუნდი
„აფხაზეთი“ წარმატების
გზაზე

დასრულდა საქართველოს კალათბურთის სამოყვარულო ლიგის რეგულარული ჩემპიონატი. სამოყვარულო ლიგის 17 გუნდს შორის გუნდმა „აფხაზეთი“ საპატიო მე-7 ადგილი დაიკავა და სამოყვარულო ლიგის ფლეი ოფის გათამაშებაში მონაწილეობის გაგრძელების უფლება მოიპოვა. მეორე დღეს დინამოს საკალათბურთო ბაზაზე გაიმართა სამოყვარულო ლიგის გალანარმოდგენა, რომელმაც მოიცვა კონკურსები სამქულიან სროლებში, ბურთის ეფექტურ გდებაში და მატჩი საუკეთესო მოთამაშეების ანუ „ყველა ვარსკვლავის“ მონაწილეობით. „ვარსკვლავთა“ გუნდის შემადგენლობაში მოხვდნენ სამოყვარულო გუნდ „აფხაზეთის“ ცენტრალური ფორვარდი დავით მუშკუდიანი და მოთამაშე ბუბა ბერიშვილი.



ვიქტორ სანეევის სახელობის
ტურნირი

მძლეოსნობაში აფხაზეთის მკვიდრის, ლეგენდარული მძლეოსნის, მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენის ვიქტორ სანეევის

სახელობის პირველი ტურნირი გაიმართა. ტურნირის მხარდამჭერი იყო აფხაზეთის მთავრობა, ორგანიზატორი კი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო. შეჯიბრში აფხაზეთიდან დევნილი და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები, 1996-2001 წწ. დაბადებული 80-მდე მძლეოსანი მონაწილეობდა. ვიქტორ სანეევის სახელობის ტურნირი მძლეოსნობაში ჩატარდა პირადი პირველობის სახით, მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში (სამშხტომი, ბირთვის კერა, სიგრძეზე ხტომა, ჭოკით ხტომა, რბენა 60 მ, რბენა 800 მ.) გოგონებსა და ვაჟებს შორის. ვიქტორ სანეევის სახელობის ტურნირის მიზანია მძლეოსნობის განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, წარმატებული და პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა და მათი შემადგენლობით აფხაზეთის ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

ტურნირში გამარჯვებულები დააჯილდოვეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ და მთავრობის სხვა წევრებმა.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ ტურნირის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განაცხადა: „ამ ტურნირის მესვეურთა წყალობით, აფხაზეთის მძლეოსნობის ფედერაციისა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დამსახურებით, ძალიან კარგი სპორტული დღე იყო. მაღლობას მოვასხენებ მათ ამისთვის. ასევე მაღლობას ვუხდი საქართველოს მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციას იმისთვის, რომ დარბაზი დაგვითმო და ამ ტურნირის ჩატარების საშუალება მოგვცა. მიხარია და ვამაყობ, რომ აფხაზეთიდან დევნილმა მძლეოსანთა ჯგუფმა მაღალი სპორტული პოტენციალი დაგვანახა“.



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვიტალი ბენდელიანის თქმით, აფხაზეთის ახალგაზრდების სპორტისადმი ინტერესი ყოველწლიურად იზრდება. „ამდენად, - განაცხადა მან, - ცვდილობთ მოვიცვათ სპორტის ყველა სახეობა და რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩაერთოთ სხვადასხვა შეჯიბრში. მიმაჩნია, რომ დღევანდელი ტურნირით ჩვენი მიზანი შესრულებულია და მალე გვეყოლება აფხაზეთის ნაკრები, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში ჩაებმება“. ტურნირში მონაწილე სამშხტომელმა თათია პაიკიძემ აღნიშნა: „ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ მონაწილეობა მივიღე ლეგენდარული მძლეოსნის ვიქტორ სანეევის სახელობის ტურნირში, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, გავისხნოთ ისეთი სპორტსმენები, როგორიც ბატონი ვიქტორი იყო. ყველა ახალგაზრდას მოეუნოდა, ჩაერთოს ამგვარ შეჯიბრებებში.“

აფხაზეთის ლია პირველობა
ფარიკაობაში

9-10-11 მაისს აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა აფხაზეთის ლია პირველობა ფარიკაობაში: ხმალი (პირადი), რაპირა (პირადი) 2001- 2002, 2003 — 2004 წლებში დაბადებულ გოგონებსა და ვაჟებს შორის, დაშნა (პირადი) 1998-2000, 2001-2003 წლებში დაბადებულ გოგონებსა და ვაჟებს შორის. შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნა ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის სახელობის საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის სპორტულ დარბაზში. ლია პირველობას ფარიკაობაში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის გა-



ნათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ბელა კოპალიანი, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი არჩილ გოგელია, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, მსოფლიოს ჩემპიონი იური ოსიპოვი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ. პირველობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, რუსეთის ფედერაციის (ვლადიკავკაზი), ქუვეითის სპორტსმენები. ხმლით ასპარეზობაში ვაჟებს შორის აფხაზეთის სპორტსმენებმა წარმატებას მიაღწიეს. პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ლუკა ლომინაძემ და გიორგი მარხულიამ (ორივე აფხაზეთი). გამარჯვებული ლუკა ლომინაძე დაჯილდოვდა ყველაზე ტექნიკური მოფარიკაის სპეციალური პრიზით - თამაზ კაკულიას სახელობის თასით (თამაზ კაკულია - მოფარიკავე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფარიკაობაში, აფხაზეთის მკვიდრი). მას ასევე გადაეცა საქართველო-იტალიის არასამთავრობო ორგანიზაციის „მინერვას“ სპეციალური პრიზი - „საუკეთესო საუკეთესოთა შორის“. გოგონებს შორის ამავე სახეობაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა აფხაზეთიდან დევნილმა ანასტასია ჩიქოვანმა. გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები ფარიკაობის ამ სახეობაში თასებით, მედლებით და სიგელებით დააჯილდოვა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ. რაპირით ასპარეზობაში გოგონებს შორის გამარჯვებული გახდა აფხაზეთის წარმომადგენელი ნატა ხარაიშვილი, რომელიც აგრეთვე დაჯილდოვდა შოთა დარასელიას სახელობის სპეციალური პრიზით (შოთა დარასელია - მოფარიკავე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი). ტურნირში მონაწილე გამარჯვებული და პრიზიორი ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა თასებით, სიგელებით, მედლებით. სპორტსმენები დააჯილდოვეს საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა არჩილ გოგელიამ, ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონმა იური ოსიპოვმა, აფხაზეთის მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან ურთიერთობისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ეზუგბაიამ, აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი კეჟულაძემ, აფხაზეთის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა ვიტალი ბენდელიანმა

აფხაზეთის ლია პირველობა
მინი-ფეხბურთში

25 მაისს აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, ქ. ზუგდიდში (მინი-ფეხბურთის სპორტული მოედანი) გაიმართა აფხაზეთის ლია პირველობა მინი-ფეხბურთში 1990-2000 წელს დაბადებულ ახალგაზრდებს შორის. აფხაზეთის ლია პირველობის ჩატარება მინი-ფეხბურთში მიზნად ისახავს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის აქტიურ ჩაბმას სპორტში, დევნილი მოსახლეობის ინტეგრაციას ადგილობრივ მოსახლეობასთან, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას. აფხაზეთის ლია პირველობა მინი-ფეხბურთში ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ფოთის, სენაკის, ჩხოროწყუს, ქუთაისის, ზუგდიდის, ოკუპირებული ტერიტორიის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდები. აფხაზეთის ლია პირველობის გამარჯვებული გუნდი გახ-

და აფხაზეთის № 11 საჯარო სკოლა (ქ. ზუგდიდი), მეორე ადგილი - № 7 საჯარო სკოლამ (სენაკი) მოიპოვა, მესამე ადგილი კი № 15 საჯარო სკოლას (ზუგდიდი) ერგო. ლია პირველობის გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები სპორტული ფორმებით, ბურთებით, თასებით, დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ზაზა დარასელის თასი
მინი-ფეხბურთში

გაიმართა ზაზა დარასელის სახელობის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში, რომელშიც აფხაზეთის გუნდიც (თბილისის ზღვა) მონაწილეობდა. აფხაზეთის მთავრობის სახელით შეჯიბრისთვის დაწესდა სპეციალური თასი, რომელიც აფხაზეთის გუნდს გადაეცა. ზაზა დარასელის თასი მინი-ფეხბურთში გათამაშდა საქართველოს ტელე-რადიო კომპანიების გუნდებს შორის.

აფხაზეთის გუნდი ფინალურ ასპარეზობაში ტელეკომპანია „მაცსტრო“-ს გუნდთან დამარცხდა და ტურნირში მეორე საპრიზო



ადგილი დაიკავა. აფხაზეთის გუნდი დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით - „ტურნირის ჩატარების ისტორიაში ყველაზე კორექტული და ერთგული გუნდი“. აფხაზეთის გუნდის წარმომადგენელი, მოთამაშე-მწვრთნელი გოგა ჭანტურიძე ტურნირის საუკეთესო გოლის ავტორად და ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა და სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა, ასევე სპეციალური პრიზი და საუკეთესო მეკარის ნოდება გადაეცა აფხაზეთის გუნდის წევრს თემურ ბეჭკაიას.

საერთაშორისო ტურნირი
ფარიკაობაში

მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც ინგლისის, საქართველოს, ბულგარეთის, თურქეთის, ქუვეითის, აზერბაიჯანის და ირანის ჭაბუკი მუშკეტერები მონაწილეობდნენ, თურქულმა ალანიაში უმასპინძლა. ტურნირში 600-მდე სპორტსმენი მონაწი-



ილეობდა. მედლები ორ ასაკობრივ ჯგუფში გათამაშდა. უმცროსი ასაკის ხმლით მოფარიკავეებში იყოჩაღა და წარმატებას მიაღწია აფხაზეთის წარმომადგენელმა გიორგი მარხულიამ, მწვრთნელი ზურაბ ლოლუა (აფხაზეთი, გაგრა). ქართველმა მოფარიკავემ ჯგუფში 6 მეტოქეს სძლია (სულ ხმლით ფარიკაობაში მონაწილეობდა 105 სპორტსმენი). ფლეი ოფში ზედიზედ დაამარცხა ბულგარელი ერშოვი (8:4), თურქები: იგიტო (8:4), ბუდაკი (8:6), და არდიურუ (8:6), ხოლო ნახევარფინალში ასევე მასპინძელ ქასმან აჰმუდს დანებდა (7:8) და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ვულოცავთ ახალგაზრდა სპორტსმენს და მის მწვრთნელს ამ წარმატებას.

გვერდი მოამზადა
ლელა მიქელაძემ.

ახალზედა მხატვრის თვალთ დანახული მიტენი

სალომე თორია

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზმა ეროვნებით აფხაზი დედა – შვილის მარინა და გიორგი ჟიჟიბაძეების ნამუშევრების ერთობლივ გამოფენას უმასპინძლა. გიორგი ჟიჟიბაძე აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეა. ის ხატვისადმი განსაკუთრებული სიყვარულითა და ორიგინალური ხედვით გამოირჩევა. ეს კარგად ჩანს მის გრაფიკულ თუ ფერწერულ ნამუშევრებში, განსაკუთრებით კი მრავალფეროვანი კომპოზიციებში, სადაც ზოგად და სქემატურ ფიგურებს უფრო და უფრო ემატება სიცოცხლე, მდიდარი წარმოსახვის უნარი და ბრძოლის ჟინი.



გამოფენაზე ძირითადად ქაბობდა მითოლოგიურ და ისტორიულ სიუჟეტებზე შექმნილი ნამუშევრები, როგორცაა: „ათენა პალადა მედუზა გორგონას მოკვეთილ თავთან“, „ოდი-სევსი და პოლითემე“, „ჰერაკლე და ლირნეის პიდრა“, „ოდი-სევსი ქარიბდასა და სცილას შორის“, „კრონოსის დამარცხება“ და სხვა.

რაც შეეხება მარინა ჟიჟიბაძის, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 90-იანი წლებიდან დღემდე შესრულებული მისი რამდენიმე ნახატი და ხელნაკეთი ნივთი. მის ნოსტალგიურ პეიზაჟებს როგორცაა: „შემოდგომის სედა“, „კლდე“ და „ნაკადული“ ენაცვლებოდა „სინათლის სიბნელეზე გამარჯვება“, „მოლოდინი“ და „კლასიკა.“

დედა-შვილის ერთობლივ გამოფენას სტუმრობდნენ: დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი, ნუგზარ მგალობლიშვილი, მხატვარი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, ალექსანდრე ხუბუა აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ჯუმბერ ბეჭვია სამხატვრო აკადემიის სამრეწველო დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი და სხვ. ახალბედა მხატვარი დიდი გულმოდგინებით უსხნიდა მათ თითოეული ნამუშევრის შინაარსს და თავის ჩანაფიქრს და განცდებს უზიარებდა.

როგორც დასაწყისშიც შევნიშნეთ, ახალბედა მხატვრის - გიორგი ჟიჟიბაძის ნამუშევრების განსაკუთრებული ინტერესის საგანს მითოლოგია წარმოადგენს. იგი წაკითხულ მითებსა და ლეგენდებს მისთვის მოსახერხებელი მოხაზულობითა და ფორმით ასხამს ხორცს და აცოცხლებს.

დაველოდოთ, სად წაიყვანს ნორჩ მხატვარს მითებთან და მითოსური პერსონაჟებით გატაცება, რა კონკრეტულ სათქმელამდე მიიყვანს.

ხელის გულზე დატებული სამყარო

პროფესიონალი მხატვრისა და ხუთი წლის დებიუტანტის ერთობლივი გამოფენა

მაია შონია

21 ივნისს არტ-კაფე „სფუმატომ“ არაორდინალურ და საინტერესო გარემოში დაპატიჟა დამთვალიერებელი. პროფესიონალი მხატვრის დავით ბაძალუას ნახატების გამოფენაში უჩვეულო არაფერია. მის ნამუშევრებს დამთვალიერებელი ყოველთვის ჰყავს. საზოგადოება მისგან სიახლეს ხშირად ელოდება და იმედებიც არ უცრუვდება. ამ მხრივ არც არტ-კაფე „სფუმატომი“ წარმოდგენილი ექსპოზიცია იყო გამონაკლისი. გამოფენას აფხაზეთის თემატიკა და ფერები ამჯერადაც გასდევდა მთავარ შტრიხად. გამოფენის „ინტრიგა“ კი პროფესიონალი მხატვრის ნახატების ფონზე ხუთი წლის ლუკა ახალაიას ნამუშევრების გამოფენა იყო.

ლუკა ახალაიამ ძერწვა სამი წლის ასაკში დაიწყო. ჯერჯერობით მხოლოდ ბალში დადის. ხატვის ან სხვა შემოქმედებით წრეებზე არ უწვლია. როგორც ლუკას დედა ირმა ბუკია ამბობს, „ბავშვი ძერწვას ძალიან დიდ დროს უთმობს და დიდი ინტერესით აკეთებს. ძალიან უყვარს მულტფილმები, მაგრამ არ აინტერესებს ზღაპრები“. როგორც ჩანს, პატარა ლუკას ამ ასაკშივე აქვს სათქმელი, რომელიც საოცარი პლასტიკითა და ფერებით გამოძერწა. ლუკას ცხოველთა და ფრინველთა სამყარო გამორჩეულია არა მხოლოდ პლასტიკითა და ფერებით, ხასიათებითაც, რომლის გამოსახვა ბევრ, უფრო გამოცდილ შემოქმედსაც კი უჭირს. მის ხელის გულზე დასატეხ ნამუშევრებში იმდენი დეტალი, ფერი და გამოსახულებაა, ნამუშევარი ადამიანს თვითონ აიძულებს დიდხანს ათვალიეროს.

ლუკას პირველი შემოქმედებითი წარმატება სულ რამდენიმე ხნის წინათ შედგა, როცა ის შემოქმედებითი კონკურსის „იპოვე შენი ვარსკვლავი“ გრან-პრის მფლობელი გახდა. არტ-კაფე „სფუმატომი“ კი პატარა ხელოვანის ექსპოზიციამ პროფესიონალი მხატვრების მოწონება დაიმსახურა.

დავით ბაძალა, მხატვარი: – ამ გამოფენაზეც აფხაზეთის თემა და ფერებია მთავარი. აფხაზეთის ფერებს გვერდს ვერასდროს ავუვლი. ჩემი კოლეგებიც ხშირად მეუბნებიან, ისეთი მშვიდი ფერები გაქვს, მაგრამ

აფხაზეთის ტკივილი მაინც იგრძნობაო. ამ გამოფენაზე კი მთავარი ლუკას ნამუშევრებია. ჩვენ ასეთ ნიჭიერ მომავალ თაობას უნდა შევუწყოთ ხელი და ეს მინდა ყველა, უკვე გამოცდილმა მხატვარმა ტრადიციად აქციოს. ჩვენ ახალი თაობის არ უნდა შეგვემინდეს. ლუკა ახალაია არის გამორჩეული და განსხვავებული ბავშვი. მისი ნაძერწები, მინიატიურული ქანდაკებები საოცრად ემოციურია და პროფესიონალურ დონეზეა შესრულებული.

ნანა ზალიშვილი, არტ-კაფე „სფუმატოს“ არტ-მენეჯერი: – ლუკა ძალიან ნიჭიერი ადამიანია. იგი გარდა იმისა, რომ ძერწავს, ხატავს კიდევ. ის ჯერ მხოლოდ ხუთი წლისაა და მისი ნამუშევრები უკვე გამოცდილი მხატვრის ნამუშევრების გვერდით იფინება. ეს უკვე სიახლეა, საინტერესო სინთეზია და შესაბამისი დაინტერესებაც მოჰყვა. ვფიქრობ, წარმატებული პროექტი გამოდის.

ნუგზარ მგალობლიშვილი, მხატვარი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი: – ლუკა არის საოცარი



ლუკა ახალაიას ნამუშევრები

ელდარ ქაგუბაიას „სხოპრიბისეული თამაშები“

მაია შონია

ახალხან ქალაქ პეშაში ქანდაკებისა და ფერწერის საერთაშორისო სიმპოზიუმი დასრულდა. სიმპოზიუმი უკვე მეშვიდე წელია ტარდება და იგი ძალიან პოპულარული და პრესტიჟულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შემოქმედებით წრეებში. წლეულს კონკურსში მონაწილეობის სურვილი სხვადასხვა ქვეყნის 900-მა ხელოვანმა გამოთქვა. მათგან შეირჩა მხოლოდ 40 ფერმწერი და მოქანდაკე, რომელთა შორის იყო ხუთი ქართველი (ოთხი ფერმწერი და ერთი მოქანდაკე).



სიმპოზიუმში მონაწილე სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მხატვარი ელდარ ქაგუბაია ფერწერული ნამუშევრების კონკურსის გრანპრის მფლობელი გახდა. გრაფიკული ნამუშევრების კონკურსში პირველი ადგილი მოქანდაკე ვალერიან ჯიქიას ერგო, მეორე ადგილი კი ბოსტონის სამხატვრო აკადემიის პროფესორ ბათუ სიხარულიძეს.

სიმპოზიუმზე მონაწილეები 20 დღის განმავლობაში წინასწარ წარდგენილი თემატიკისა და ესკიზების მიხედვით ქმნიდნენ ნამუშევრებს. მათგან შეირჩა თითო, რომელიც ჟიურიმ შეაფასა. ელდარ ქაგუბაიას „ცხოვრებისეულმა თამაშებმა“ კულისებში, სიყვარულში თუ სხვა სფეროში, ასევე მისმა თანამედროვე ინსტალაციებმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა და ჟიურის უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა.

სიმპოზიუმის მსვლელობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ელდარ ქაგუბაია თავად ისაუბრებს.

– როგორც ვიცით, ქანდაკებაში აქამდე არ გიმუშავებთ?

– დიას, ქანდაკება პირველად პეშაში გავაკეთე. სიმპოზიუმში მონაწილე მოქანდაკეების მორჩენილი მასალით შევქმენი თანამედროვე ინსტალაცია, არტ-პროექტი, რომელსაც „დიალოგი“ და „ფიროსმანის სიყვარული“ დავარქე.



ნიჭით დაჯილდოებული, ამას ვამბობ ერთნიშნად. ეს არის უფლის მიერ მომადლებული ნიჭი. ეს სიხალასე, ეს სინერგიული არის ხელოვნება და მხატვრობა. საოცარია მისი სამყარო, ფერები, გამოსახულება, ძერწვის ტექნიკა, გამოსახულებაში გამოხატული ხასიათი. ბავშვი აზროვნებს, ნამუშევრებში შინაარსს დებს, საოცარი

პლასტიკა აქვს.

ჯუმბერ ბეჭვია, თბილისის სამხატვრო აკადემიის დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელი: – დავით ბაძალუას აქვს თავისი განუმეორებელი ხედვა, გარემოს საკუთარი ალქმა და ინტერპრეტაცია. მხატვარი არაფერს არ გვიყვება, ის თავის სამყაროში გვაქცევს და გვთავაზობს თავის ესთეტიკას. ეს მაღალი და განსაკუთრებული ესთეტიკაა, სამყაროს ალქმის ერთი ვერსია, რომელსაც ჰქვია დათო ბაძალა. პატარა შემოქმედი ცალკე თემაა. მე მას შევადარებდი ნაკადულს. ლუკას აქვს განსაკუთრებული კომპოზიციური ხედვა როგორც ფორმის, სივრცის, ისე ფერის თვალსაზრისით. მას ასევე აქვს სტილისა და, რაც ყველაზე მთავარია, ხატოვნების გრძნობა. ვფიქრობ, რომ ამ ბავშვის სახით ძალიან დიდი შემოქმედი გვეზრდება. ეს ბავშვი არაჩვეულებრივად აზროვნებს, რაც ახლა შეიძლება ფორმაში და ფერში გამოისახა, ხვალ ეს შეიძლება მწერლობაში გამოვლინდეს.

ჯონი ახალაია, ლუკა ახალაიას მამა: „დათოს დიდი ხანია ვიცნობ. ვიცნობ მის შემოქმედებას და ძალიან მომწონს. გაგებდეთ და მის გვერდით ლუკას მინიატიურული ნამუშევრებიც გამოვფინეთ. მისი პატარა ნაძერწები, როგორც სპეციალისტები ამბობენ, საკმაოდ დახვეწილია. სხვა ვერაფერს ვიტყვი. 3 წლიდან დაიწყო ძერწვა და ძალიან დიდ დროს უთმობს მას. მე როგორც მშობელი, ვალდებული ვარ, ხელი შევუწყო მისი ნიჭის განვითარებას.“

რედაქტორი ნატო კორსანტია

ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, თაომა ჰიგლანია, ეკატერინე გადილია, სალომე თორია, ქეთევან ხაზალია